# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 ნოემბერი 2007 №267 (3190) ფასი 50 თეთრი


# ქართველნი შეიბნ შეიხთან

## ყატ-არის და ვითხოვთ ლიტ-ვაის!





საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ბაბაქართან ქართველებმა იზოზოქრეს

დოჰა. 16 ნოემბერი. 20 საათი. ალ გარაფა. 400 მაყურებელი

## ყატარი 1:2 საქართველო

| | |
|---|---|
| 0:1 კანკავა (46), 1:1 კონე (56), 1:2 სალუქვაძე (74) | |
| ყატარი: საქრი, ალ გამიმი, დილალი (მ. მოჰამედი 77), ს. ალ შამარი (ალ კარინი 52), ა. კონე (ვ. ალ შამარი 87), რეზქი, კონტანა, ვ. მოჰამედი (იასერი 46), მოშუდი (ქარიმი 62), ალ ზან ბაბაქარი (მუშაბა 62), ფ. ალ შამარი<br>მწვრთნელი: ხორხე ფოსატი | საქართველო: მაკარიძე, ხიზანიშვილი (შაშიაშვილი 61), ასათიანი, კალაძე, სანაია (სალუქვაძე 61), გრიგალაშვილი, კანკავა (ა. კვახაძე 81), კვირკველია (დვალიშვილი 86), ცქიტიშვილი, ყენია (გელაშვილი 69), მჭედლიძე (ჯაკობია 46)<br>მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |
| გაფრთხილება: ალ ზან ბაბაქარი (29), გრიგალაშვილი (45), კონე (65), კვირკველია (77), შაშიაშვილი (86), გრიგალაშვილი (89) | |
| გაძევება: გრიგალაშვილი (89) | |
| მსაჯები: ჯ. ალ გაბაზი, ჰ. იბრაჰიმი, ი. ალ ვაზირი, ბ. ალ დოსარი (ყველა ბაჰრეინი) | |



*ილია ნანობაშვილი*
*დოჰადან*

**ყატარისა** და საქართველოს ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს 400-მდე მაყურებელი დაესწრო, რაც პარადოქსია იმის გათვალისწინებით, აქაურები დაჟინებით რომ გვიმტკიცებენ, ფეხბურთი ძალიან გვიყვარსო. მატჩის დაწყებამდე მოთელვაზე გასულმა ქართველმა ფეხბურთელებმა უკმაყოფილოებმა ჩაილაპარაკეს კიდეც, ხალხი არ მოვიდაო...

თამაში ჩვენებმა ყოჩაღად დაიწყეს და ხუთ წუთში უკვე სამი კუთხური მოაწოდეს — სამივე მარცხენა ფლანგიდან, სადაც დავით კვირკველია და ლევან ყენია აქტიურობდნენ.

მალევე ლევან ცქიტიშვილმა სეხნია მჭედლიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ქართველ ფორვარდს მცველი დაეწია და ზეირიანად დარტყმა არ აცალა — მჭედლიძემ კარს ოდნავ ააცილა. ეს იყო და, ცოტა ხანში კვირკველიას ჯარიმიდან შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ სიზუსტემ უღალატა.

ყატარელთაგან ქართველებს ყველაზე მეტ ხიფათს წარმოშობით ურუგვაელი კონტანა უქმნიდა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

ჩვენები პირველ ტაიმში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, იგრძნობოდა, რომ მეტოქეს კლასით აღემატებოდნენ. განსაკუთრებით ყენიას გამოვარჩევთ, რომლის წინააღმდეგაც მასპინძლები ხშირად ჯარიმდებოდნენ. შუა ტაიმში ყატარელებს უნაღდესი მომენტი შეექმნათ, როცა ალ ზან ბაბაქარმა მაკარიძის მოტყუება სცადა, მაგრამ ქართველმა მეკარემ ბოლოწამს აჯობა.

ცოტა ხანში ალ შამარის დარტყმული მაკარიძეს ხელიდან კი გაუვარდა, მაგრამ იქვე მდგომმა ალ ზან ბაბაქარმა დარტყმის ნაცვლად პენალტზე თამაში სცადა და სიმულაციისთვის ყვითელი დაიმსახურა.

ტაიმის ბოლოს თამაში გათანაბრდა და ყატარელებს კიდევ ორი მომენტი შეექმნათ, ჯერ მაკარიძემ აულო კონტანას მკვდარი ბურთი, მერე კი აბდულაი კონემ ვერ იხეირა. წამებიც და, მალხაზ ასათიანმა უმშვენიერესი პასით მჭედლიძე დატოვა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ...

მეორე ტაიმის დაწყება და გოლი ერთი იყო. ყენია-ჯაკობია-ყენია-კანკავას კომბინაცია 12-13 მეტრიდან ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა.

ეს იყო და, 10 წუთში ყატარელთა მეორე ტაიმის პირველივე სახიფათო მომენტიც გოლით დასრულდა. ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთისას კონე რატომღაც უმეთვალყურეო იყო — 1:1.

მალევე კონტანამ ფინტებით დაგვიბნია ორი მცველი, მესამესთან ორთაბრძოლისას წაიქცა, მაგრამ მსაჯს პენალტი ვერც მან დასტყუა.

ქართველებმა თამაში დაალაგეს. კანკავას კიდევ ერთი კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს, თუმცა 66-ე წუთზე ჩვენებმა მაინც გაიტანეს — შეცვლაზე შესულმა ლაშა სალუქვაძემ ძლიერად ჩააწოდა, მეკარე უხეშად შეცდა და 1:2.

ყატარელები კი დაფაცურდნენ, მაგრამ ბურთი ქართველებმა დაიჭირეს და მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების შანსი არც მისცემიათ. ის კი არა, 87-ე წუთზე ნიკა გელაშვილს შეეძლო მესამე გოლის გატანა — მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ კარს ოდნავ აცილა.





ქართველთაგან ლევან ცქიტიშვილიც გამოირჩეოდა

# საქართველო საესპანეთოდ

**საქართველოს** და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებები თბილისური მატჩისთვის თურქეთში ემზადებიან და საინტერესოა, კმაყოფილია თუ არა რუსთა თავკაცი ბორის სტუკალოვი თავისი შეგირდებით. აი, რა უთხრა სტუკალოვმა რუს ჟურნალისტებს: „მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილი ვარ. ბიჭები მხოლოდ საქართველოსთან თამაშზე ფიქრობენ და ეს კარგია. ამინდიც მშვენიერია და მოედნებზეც ვერ ვიტყვი აუგს. საბედნიეროდ, ტრავმებსაც ავცდით. ბიჭებს ესმით, რომ ურთულესი მატჩი ელით, რადგან ესპანეთთან მომავალი მატჩის წინ ქულების დაკარგვა ჩვენს გეგმებში არანაირად არ შედის. ახლა ერთი ვარჯიშილა დაგვრჩა და მერე თბილისში გავფრინდებით“.

19 ნოემბერს, 16.30 საათზე „რია-ნოვოსტის“ თბილისურ პრესცენტრში სტუკალოვი პრესკონფერენციას გამართავს, 19 საათზე კი „მიხეილ მესხზე“ მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს გამართავს.

**ბაბა შალამბერიძე**

## ინგლისი

I ლიგა
XVI ტური
სუონსი 0:1 ჰადერსფილდი

## შოტლანდია

III დივიზიონი
XIII ტური
არბროთი 2:2 სტრანრარი

## გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
XVI ტური
ბაიერნი (მ) 1:1 ბურგჰაუზენი
ზიგენი 1:1 აალენი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
XVII ტური
კამბური 1:3 ჰაარლემი
ეინდჰოვენი 2:0 იგლსი
მაასტრიხტი 2:1 დენ ბოსხი
ალმერე 1:1 ვოლენდამი
როზენდალი 4:0 ემენი
ტელსტარი 4:1 სიტარდი
ოსი 2:2 ვალვაიკი
ვეენდამი 0:1 ჰელმონდი
ზვოლე 1:1 დორდრეხტი

## პოლონეთი

ლიგის თასი.
IV ტური
B ჯგუფი
ოდრა 3:1 ზაგლები

## მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
მორელია 3:0 ამერიკა

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა
XVI ტური
ჩამი 3:2 გოსაუ
ლოზანა — ვადუცი გადაიდო

## ამხანაგური მატჩები

ავსტრია 0:1 ინგლისი
საფრანგეთი 2:2 მაროკო
გერმანია (U21) 3:0 ისლანდია (U21)

## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი VI ტური

I ჯგუფი
იტალია 5:0 აზერბაიჯანი
III ჯგუფი
ჩერნიგორია 1:0 ირლანდია
ინგლისი 2:0 ბულგარეთი
IV ჯგუფი
ესპანეთი 3:0 პოლონეთი
V ჯგუფი
ჰოლანდია 1:0 მაკედონია
VI ჯგუფი
ლიტვა 0:3 დანია
VII ჯგუფი
კვიპროსი 1:2 სლოვაკეთი
ავსტრია 3:2 ბელგია
VIII ჯგუფი
ბელარუსი 6:0 სან მარინო
IX ტური
ჩრდ. ირლანდია 5:0 ლუქსემბურგი
X ჯგუფი
რუმინეთი 4:0 მალტა

# ლიუბინსკასი და ერთით ნულები

## საქართველო — ლიტვა: მატჩი მეხუთე ადგილისთვის

ლიტვის ნაკრების მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი ის კაცია, ვისი გუნდიც ფიფა-უეფაში განევრიანების შემდეგ საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე იყო. საქართველოს ნაკრების მატჩების ათვლაც სწორედ იმ დღიდან იწყება, როცა ლიტვამ საქართველოს კაუნასში უმასპინძლა. 1992 წლის 2 სექტემბერს საქართველომ პირველი მარცხი იგემა — 0:1. საქართველო ლიუბინსკასის ლიტვას მას შემდეგ კიდევ ორჯერ შეხვდა. 2005 წელს „მიხეილ მესხზე", თოვლჭყაპში ჩატარებული მატჩი ჩვენებმა 1:0 მოიგეს, ხოლო ამ ზაფხულს უკვე კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა ასევე კაუნასში ითამაშა და ისევ 0:1 წააგო. საქართველოს ლიტვასთან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ორჯერაც უთამაშია და 4:0 და 2:0 მოუგია.

საინტერესოა: საქართველოსა და ლიუბინსკასის ლიტვის სამივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა.

რა იქნება 21 ნოემბერს? საქართველოსა და ბალტიისპირელებს შესარჩევის ბოლო ტურში მხოლოდ ეს აქვთ გასარკვევი — ვის დარჩება მეხუთე ადგილი. დღეს ლიტვა უკრაინას კი მასპინძლობს, მაგრამ ჩვენებისთვის ამ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა არც აქვს, საქართველომ მეხუთეობისთვის ლიტვას ყველა ვარიანტში უნდა მოუგოს.

უკრაინასთან მატჩამდე და თბილისში ჩამოსვლამდე კი ლიტვის ნაკრების სიგარის მოყვარულ მწვრთნელ **ალგიმანტას ლიუბინსკასს** კაუნასში დავუკავშირდით...



ქობა ინასარიძის ფოტო

— საქართველოში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული და ითქვა, რომ ლიტვა თბილისში ჩამოსვლისგან თავს იკავებსო. მართლა ყოყმანობდით?

— არა, არანაირი პრობლემა არ ყოფილა. თბილისში რომ მატჩის ჩატარება შეუძლებელი ყოფილიყო, ამას ჩვენ გვაცნობებდნენ, თუმცა მსგავსი არაფერი. თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას „ჟალგირისთან" ერთად ხშირად ჩამოვსულვარ, ბოლო დროსაც ვყოფილვარ და ახლაც სიამოვნებით მოვდივართ. დარწმუნებული ვარ, თბილისში სიმშვიდეა და ჩვენს გუნდს ხალხი ისევე თბილად მიიღებს, როგორც აქამდე.

— შემადგენლობაში პრობლემები გქონიათ...

— დიახ, რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმებისა და სხვა მიზეზებით დაგვაკლდა, მაგრამ, იმედი მაქვს, საქართველოსთან მატჩამდე ორიოდე ფეხბურთელი მაინც დაგვემატება. ჩესნაუსკისი მსუბუქად უკვე ვარჯიშობს და, ალბათ, თბილისშიც წამოვიყვანთ. მაღალი კლასის ფეხბურთელებით ლიტვა არც ისე მდიდარია და სხვა გზა რომ არ გვქონდა, უკრაინასთან და საქართველოს მატჩებისთვის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვიძახეთ.

— უახლოეს მატჩებს არც ლიტვისთვის, არც უკრაინისთვის და არც საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ფიქრობთ, რომ ლიტვა ამ ორ შეხვედრას მომავალი შესარჩევისთვის მოსამზადებლად უფრო გამოიყენებს?

— იცით, ამ შესარჩევი ჯგუფის გუნდები რომ გაირკვა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ლიტვა და საქართველო უშანსოდ იქნებოდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვთამაშობდით. იტალიასთან ფრესაც გამოვკარით ხელი. უკრაინასთან და საქართველოსთან ლიტვა თავის ფეხბურთს ითამაშებს, ექსპერიმენტების ჩატარებას არ ვაპირებთ, თუმცა შეიძლება, ერთ-ორ ახალგაზრდას მივცე თავის გამოჩენის შანსი. კარგი იქნება, თუ ცხრილში მეხუთე ადგილს დავიკავებთ და ჩვენც ამისთვის ვითამაშებთ.

— ადრე რომ ვისაუბრეთ, თქვით, მეხუთეადგილოსანს სწორედ საქართველო — ლიტვის მატჩები გაარკვევსო...

— მერე ასე არ არის?! კაუნასში ლიტვამ მოიგო და დარჩა თბილისის მატჩი. მოგებული ჯგუფში მეხუთე იქნება. ამ შესარჩევში არც ლიტვას და არც საქართველოს ისეთი გუნდები არ ჰყავდათ, საფრანგეთ-იტალიისთვის კონკურენცია გაეწიათ.

— როგორ ფიქრობთ, შესარჩევ ჯგუფში სადღეისოდ ადგილები ლოგიკურადაა განაწილებული?

— დიახ. თუმცა ცოტა მოულოდნელია, რომ შოტლანდიამ პირველობის შანსი ბოლო ტურამდე შეინარჩუნა. სხვა ყველაფერი ლოგიკურადაა.

— ანუ, ამბობთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთი და იტალია ითამაშებენ?

— ალბათ, ასე იქნება. არა მგონია, შოტლანდიამ იტალიას მოუგოს და მსოფლიოს ჩემპიონები ჯგუფში ჩარჩნენ. თუმცა დღევანდელ ფეხბურთში ისეთი ამბები ხდება, შოტლანდიის წარმატებასაც არ გამოვრიცხავ.

**ქობა ინასარიძე**

# ლიტვური პლუს-მინუსი

## ვინ მოასწრებს თბილისში ჩამოსვლას?

**დღეს** ლიტვის ნაკრები უკრაინელებს შვიდი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე დაუხვდება. 21 ნოემბრისთვის კი, როდესაც ლიტველები ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩის ჩასატარებლად საქართველოს ეწვევიან, ამ შვიდეულიდან ხუთი ფეხბურთელი დაუბრუნდებათ.

გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებენ დეივიდას შემბერასი და დეივიდას ჩესნაუსკისი, ხოლო ასევე ტრავმირებულნი, დარიუს მიცეიკა და ტომას რაძინიავიჩიუსი ალგიმანტას ლიუბინსკასს სათბილისო განაცხადში ჰყავს. როგორც ჩანს, მათი ტრავმები შედარებით მსუბუქი გამოდგა. სათბილისოდ ემზადებიან შაულიუს მიკოლიუნასი, ანდრიუს კშანავიჩიუსი და აურიმას კუჩისი — ისინი უკრაინელებთან მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებენ, საქართველოსთან კი ლიუბინსკასს მათი იმედიც აქვს.

ბალტიისპირელთა სათბილისო სრული სია კი ასეთია:

***მეკარეები:*** *ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი), მარიუს რაპალისი (ჟალგირისი);*

***მცველები:*** *ანდრიუს სკერლა (კორონა, პოლონეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), იგნას დედურა (სპარტაკი, რუსეთი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებე, პოლონეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ვერანსი), ტადას პაპეშკუსი (ვურნიკი, პოლონეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ანდრიუს კშანავიჩიუსი, შაულიუს მიკოლიუნასი (ორივე ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (ყუბანი, რუსეთი), იგორის მორინასი (ჟალგირისი), აურიმას კუჩისი (დაუგავა, ლატვია), მანტას სავენასი (ვერანსი), ვიტაუტას ლუკშა (ვილნიუსი), ტადას ლაბუკასი (ოცელული, რუმინეთი), დარიუს მიცეიკა (მეტალურგსი, ლატვია), გედიმინას ბუტრიმავიჩიუსი, დარვიდას შერნასი (ორივე ვეტრა);*

***თავდამსხმელები:*** *ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), ედგარას იანკაუსკასი (აეკ ლარნაკა), ტომას რაძინევიჩიუსი (ბუდეიოვიცე, ჩეხეთი).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

29 ოქტომბერს ყაზანში საქართველოს ნაკრებისა და „რუბინის" მეკარე ნუკრი რევიშვილი ავარიაში მოჰყვა. მან ტვინის შერყევა მიიღო და ექიმებმა ათი დღე წოლითი რეჟიმი გამოუწერეს.

გუშინ კი ნუკრი რუსთავში „ფოლადზე" „ოლიმპი" — „სიონის" მატჩზე შევნიშნეთ და ინტერვიუც ვთხოვეთ...

# მაკარიძემ გაამართლა

## არა მგონია, ტოპმიოლერი ნაწყენი იყოს

— თბილისში 14 ნოემბერს ჩამოვედი და მკურნალობას აქ ვაგრძელებ. ძლიერი ტვინის შერყევა მივიღე და იანვრამდე ფიზიკური დატვირთვები მეკრძალება.

— „რუბინი" ახალი სეზონისთვის მზადებას როდის დაიწყებს?

— პირველი შეკრება 13 დეკემბერსაა დაგეგმილი, თუმც მე იანვარში შევუერთდები გუნდს.

— როგორც რუსული პრესა იუწყება, „რუბინმა" „ყუბანიდან" ვლადიმირ გაბულოვი, რომელიც რუსეთის ნაკრების მეკარეა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „რუბინს" დატოვებ?

— პრესა წერს, ახალი მეკარე შეიძინესო, თუმც „რუბინის" ვებგვერდიდან გავიგე, რომ ეს ჭორია. ის კი ვიცი, ერთი რუსი მეკარის მოყვანა უნდათ, რადგან ძირითადი მეკარე ხარჩიკი წასვლას აპირებს. ვინც უნდა მოვიდეს, მე კონკურენციისთვის მზად ვარ და არსად გაქცევას არ ვაპირებ. მთავარია, მალე გამოვჯანმრთელდე...

— ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდებოდი. როგორ ფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებში ამიტომ არ გიწვევდა?

— სათამაშო პრაქტიკა არც იმათ აქვთ, ვინც ახლა არიან ნაკრებში. უბრალოდ, ტოპმიოლერმა ასე ჩათვალა საჭიროდ და ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა. არა მგონია, ტოპმიოლერი ჩემზე გულდაწყვეტილი იყოს. ის შანსს ყველას აძლევს, რაც კარგად გამოიყენა გიორგი მაკარიძემ. ვფიქრობ, ნაკრებში თამაშის შანსი კიდევ მომეცემა.

— როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში რა შანსი აქვს?

— მეოთხე კალათში თუ მოვხვდით, შანსი გვექნება. ამ შესარჩევში იტალიასთან და საფრანგეთთან მოვხვდით და მაშინვე გამოჩნდა, რომ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

— რუსეთის ჩემპიონი „ზენიტი" გახდა. შენი აზრით, რუსეთის საუკეთესო გუნდი ის არის?

— „ზენიტი" ღირსეული ჩემპიონია. დიკ ადვოკაატმა კარგი გუნდი დააყენა და საწადელსაც მიაღწია.

— მსოფლიოში საუკეთესო მეკარედ ვის მიიჩნევ?

— ამჟამად პეტრ ჩეხს ვერავის შევადარებ, წინა წლებში კი ჯიჯი ბუფონი იყო უბადლო.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩემპიონების ტესტ-დუელი

**გუშინ** რუსთავში საქართველოს ბოლო ორი ჩემპიონი, რუსთავის „ოლიმპი" და ბოლნისის „სიონი" ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრნენ.

მატჩი 1:1 დასრულდა.

თამაშს ცუდი არ ეთქმოდა, მაგრამ მაინცდამაინც კარგსაც ვერ იტყოდა კაცი, თუმც ამ მატჩის ყურება მარტო ერიკ რომეო ჩასემის გოლის ნახვად ღირდა. საგოლე შეტევა ქურასბედიანმა წამოიწყო, რომელმაც ნიკა ნადირაძე მოძებნა, ამან კი ერიკ რომეო ჩასემი და კამერუნელმა ფორვარდმა შემობრუნებით ოსტატურად დაარტყა — მიხეილ ალავიძეს ბურთი თავზე გადაავლო.

აი, გოლი ეს იყო, თუ იყო...

სანამ ჩასემი გაიტანდა, რუსთაველ ალექსანდრე კოშკაძესაც ჰქონდა შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ შეყრილმა ზვიად სტურუას ველარ აჯობა.

მეორე ნახევარში მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები განახორციელეს. სწორედ შეცვლაზე შესულმა ნიკა ყრუაშვილმა გაათანაბრა ანგარიში 67-ე წუთზე.

უნდა აღვნიშნოთ ნიკა ლაბაძის აქტიური თამაშიც. მან ბევრი იმოძრავა, შეტევებსაც იწყებდა და ართმევაზეც ყოჩაღობდა.

საჩემპიონატო მატჩში თუ რუსთაველებმა ბოლო წუთებზე გატანილი გოლით იმარჯვეს „სიონთან", ამჯერად ბოლნისელებს შეეძლოთ, წარმატებისთვის მიეღწიათ, მაგრამ თემურ რაქვიაშვილმა ხარიხას გაარტყა.

და ერთიც, კარგა ხნის შემდეგ „სიონში" პირველად გამოჩნდა გასტონ მემეჯი ევორე, თუმცა ვერაფრით გამოირჩა.

*ოლიმპი: მერლანი (მ. ალავიძე 20; კობახიძე 73), მახვილაძე, აკუასაგა (რეხვიაშვილი 46), სილაგაძე (მოდებაძე 46), ქებაძე (ლაბაძე 46), გეწაძე, კოშკაძე, ჟოჟკოვიჩი (ყრუაშვილი 46), მასუანვა (მესხი 46), რ. ჯიქია (კურტანიძე 46).*

*სიონი: სტურუა (ვ. იაშვილი 46), ქურასბედიანი (ლ. ვაშაკიძე 46), დ. სვანიძე, ფრიდოლინი (მენთესაშვილი 46), რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, ნ. ნადირაძე (ევორე 73), სანიკიძე (კოსტავა 60), ქუცურუა (კვიტაიშვილი 46), გაგუა, ჩასემი (ზ. ქუთათელაძე 46).*

**ნუგზარი ლოლაძე**

# წაგების უნახავმა რა ნახა და, ევროპა

„პორტუ", „ბენფიკა", „სეტუბალი", „ზესტაფონი" — 10. ასე ბოლოვდება სია, რომელშიც ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ჩემპიონატებში წაუგებელი სერიის მქონე გუნდებია ჩამოთვლილი.

პორტუგალიურ გრანდებს შორის „ზესტაფონის" გამოჩენა სასიამოვნოა, თუმცა იმერლებს, სულ ცოტა, ერთი ტური კიდევ აქვთ შანსი, ეს მაჩვენებელი გაზარდონ — უახლოეს ტურში „ზესტაფონი" აუტსაიდერ „ბათუმს" მასპინძლობს.

არანაკლებ ცნობილი გუნდები არიან სიაში „ზესტაფონზე" წინ: „აიაქსი" (ჰოლანდია), „ინტერი" (იტალია), „ოლიმპიკი" (აზერბაიჯანი) — 11 წაუგებელი მატჩი; ცსკა (ბულგარეთი), „არსენალი", „ლივერპული" (ორივე ინგლისი), „ცრვენა ზვეზდა" (სერბეთი) — 13; „ვისლა" (პოლონეთი), „რაბოტნიჩკი" (მაკედონია) — 14; „კლუჟი" (რუმინეთი) — 15; „შერიფი" (მოლდოვა) — 17.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათუმმა ბორჯომამდე ბათუმთან წაივარჯიშა

**უმაღლესლიგელთა** უმრავლესობა დროს უქმად არ კარგავს და ამხანაგურ მატჩებს მართავს.

„ბათუმი" თავისსავე ფარმკლუბს გაეჯიბრა და 5:1 დაამარცხა. სამჯერ თავი გამოიჩინა გუნდში ახლახან მიბრუნებულმა მიხეილ კაკალაძემ, თითოჯერ კი ირაკლი ცანავამ და ვასილ კუნჭულიამ იხეირეს.

„ბათუმის" თავკაცმა ავთანდილ კუნჭულიამ ეს ფეხბურთელები ათამაშა: *თოთლაძე, გალოვრე, მაკარიანი, კ. მახარაძე, ვ. კუნჭულია, ბეჟანიძე, დარჩიძე, ცანავა, ოქრუაშვილი, ტულუში, კაკალაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მამინაშვილი, ბაციკაძე, ბ. მახარაძე, დემურაძე, ჯანელიძე.*

დღეს ბათუმელები მორიგ მატჩს გამართავენ, დავით ყიფიანის თასის გადადებულ შეხვედრაში „ბორჯომს" უმასპინძლებენ.

გეხსომებათ, მაშინ ეს მატჩი იმიტომ გადაიდო, რომ ბათუმში მიმავალი ბორჯომული გუნდი ავარიაში მოჰყვა.

**ნუგზარი ლოლაძე**

# ქართველები ევროკუნძულზე

**21 ნოემბერს** ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში კვიპროსის ნაკრები ჩეხეთს უმასპინძლებს და ეს მატჩი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ გუნდებს ქართველები უმსაჯებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, არბიტრი ლევან ფანიაშვილი იქნება, თანამსაჯები — მამუკა ელიკაშვილი და ზურაბ ჯვარიძე, ხოლო სათადარიგო მსაჯი — გიორგი ვადაჭკორია.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები



ლუკა ტონი და ანდრეა პირლო

AFP

# უკრაინას მტერი ენდო, ყველამ თავის საქმეს მიხედოს

**შოტლანდია — იტალია**

**ტურის** მთავარი ჯახი გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე" გაიმართება. ორივე გუნდს უნდა, ავსტრია-შვეიცარიაში ითამაშოს და ამ მიზნის მისაღწევად ისინი ყველაფერს გაიღებენ.

თუ სქოთები მოიგებენ, უკვე ფინალურ ეტაპზე არიან. ამ შემთხვევაში იტალიელებს მინიმალური შანსიღა რჩებათ — ბოლო ტურში საფრანგეთმა უნდა წააგოს უკრაინაში და იტალიამ შინ ფარერებს უნდა მოუგოს.

თუ ფრანგები უკრაინაში წააგებენ, მაშინ შოტლანდიას დღევანდელ მატჩში ფრეც ხელს აძლევს, რადგან მათ ქულებით გაუთანაბრდებიან, ურთიერთშეხვედრებში კი უპირატესობა „ტარტანის არმიის" მხარესაა — მათ ორივეჯერვე დაამარცხეს „მამლები" (ორივეჯერ 1:0).

შოტლანდიისთვის ყველაზე ცუდი ვარიანტი, ცხადია, წაგებაა — ამ შემთხვევაში იტალია-საფრანგეთი ხელიხელჩაკიდებულნი წავლენ ალპებში, თუმც სქოთებს მაინცდამაინც არც ფრე და უკრაინელთა იმედად ყოფნა დაამშვიდებთ. მოკლედ, უეჭველი მოგება უნდათ.

ალექს მაკლიშს დაშავებულ-დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს და ფეხბურთელებთან ერთად „ჰემპდენ პარკის" გუგუნის იმედიც აქვს. მაკლიში იმედოვნებს, რომ მის გუნდს კიდევ ერთი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია.

თავის მხრივ, რობერტო დონადონის განკარგულებაში ყველა ის ფეხბურთელია, ვისი გამოძახებაც მწვრთნელს სურდა. ერთია, დონადონის საფიქრალი მატჩამდე გაუჩნდა და ვინ ათამაშოს ორ პოზიციაზე, ჯერაც ვერ გადაუწყვეტია: ერთი, დაცვის მარჯვენა ფლანგზე მასიმო ოდო დააყენოს (ვისაც ფეხი აწუხებს და ძნელი სათქმელია, ითამაშებს თუ არა) თუ კრისტიან პანუჩის გამოცდილებას ენდოს. მეორე, საჭოჭმანოა საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია — არჩევანი მასიმო ამბროზინისა და დანიელე დე როსის შორის უნდა გააკეთოს.

აპენინელები სქოთებზე მშვიდად არიან და საქმის გართულებას ერიდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# როცა თეორიული შანსიც თეორიულია
## ლიტვა ითვლის, ბლოხინი იმუქრება

**ლიტვა — უკრაინა**

**თეორიული** შანსების გათვალისწინებით, ამ მატჩსაც შეუძლია, სატურნირო ცხრილში ადგილების გადანაცვლება მოახდინოს, უფრო სწორად, ამ გუნდებმა გაუცვალონ ერთმანეთს ადგილები.

სადღეისოდ უკრაინელები 6 ქულით უსწრებენ ლიტველებს, რომლებსაც შეუძლიათ, ამ ექვს ქულას თავი მოუყარონ, თუ უკრაინასაც მოუგებენ და საქართველოსაც. თან უკრაინა საფრანგეთთან შინ უნდა დამარცხდეს და ასეთ შემთხვევაში, ორივე გუნდი 16-16 ქულას დააგროვებს, უპირატესობა კი ურთიერთშეხვედრებს მიენიჭება.

გავიხსენოთ, რომ პირველი მატჩი უკრაინელთა 1:0 გამარჯვებით დასრულდა, ამიტომ დღეს ლიტველებმა ორბურთიანი სხვაობით უნდა გაიმარჯვონ. თუ ბალტიისპირელებმა შეძლეს და, ოდენ 1:0 მოიგეს, მაშინ ოთხშაბათს საქართველო დიდი ანგარიშით უნდა დაამარცხონ და ასევე დიდი ანგარიშით უნდა წააგოს უკრაინამ ფრანგებთან.

ლიტველებს მოგება კი უნდათ, მაგრამ მათი მთავარი მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას — სამი ფეხბურთელი, შაულიუს მიკოლიუნასი, ანდრიუს კშანავიჩიუსი და აურიმას კუჩისი, დისკვალიფიცირებულნი არიან. ტრავმების გამო ლიუბინსკასმა დეივიდას შემბერასი და დეივიდას ჩესნაუსკასი ვერ გამოიძახა, ზედ მატჩისწინა ვარჯიშებზე კი დარიუს მიცეიკა და ტომას რაძინიავიჩიუსი დაუშავდა.

ამ შესარჩევ ციკლში ლიტველებმა მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილება კი დატოვეს, მაგრამ, რას იზამენ შვიდი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე, დღეს გამოჩნდება.

უკრაინელები კი არხეინად არიან — მათ წინ წაწევა აღარ შეუძლიათ, ხოლო თავდაჯერებული ოლეგ ბლოხინი იქადნება, ვილნიუსში აუცილებლად მოსაგებად ჩავდივარო.

მან ნაკრებში „შახტარის" მცველი დმიტრი ჩიგრინსკი დააბრუნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:3 | 25 |
| შოტლანდია | 11 | 8 | 0 | 3 | 20:10 | 24 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| უკრაინა | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 16 |
| ლიტვა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:13 | 10 |
| საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16:17 | 10 |
| ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3:40 | 0 |

**XII ტური: 21 ნოემბერი**

**იტალია — ფარერები**

**უკრაინა — საფრანგეთი**

**წინა მატჩები**

ფარერები — საქართველო 0:6; შოტლანდია — ფარერები 6:0; საქართველო — საფრანგეთი 0:3; იტალია — ლიტვა 1:1; უკრაინა — საქართველო 3:2; ლიტვა — შოტლანდია 1:2; საფრანგეთი — იტალია 3:1; ფარერები — ლიტვა 0:1; შოტლანდია — საფრანგეთი 1:0; იტალია — უკრაინა 2:0; უკრაინა — შოტლანდია 2:0; საფრანგეთი — ფარერები 5:0; საქართველო — იტალია 1:3; შოტლანდია — საქართველო 2:1; ფარერები — უკრაინა 0:2; ლიტვა — საფრანგეთი 0:1; უკრაინა — ლიტვა 1:0; საქართველო — ფარერები 3:1; იტალია — შოტლანდია 2:0; ფარერები — იტალია 1:2; ლიტვა — საქართველო 1:0; საფრანგეთი — უკრაინა 2:0; ფარერები — შოტლანდია 0:2; საფრანგეთი — საქართველო 1:0; ლიტვა — იტალია 0:2; შოტლანდია — უკრაინა 3:1; საქართველო — უკრაინა 1:1; იტალია — საფრანგეთი 0:0; ლიტვა — ფარერები 2:1; საფრანგეთი — შოტლანდია 0:1; უკრაინა — იტალია 1:2; შოტლანდია — უკრაინა 3:1; ფარერები — საფრანგეთი 0:6; იტალია — საქართველო 2:0; უკრაინა — ფარერები 5:0; საფრანგეთი — ლიტვა 2:0; საქართველო — შოტლანდია 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვინ ვის შეცვლისო: დონადონის ანჩელოტი, ანჩელოტის მაურინიუ

# გალასმა ტელევიზორი გადართო
## კაპელომ, ნუ იქნება ოღონდ ბუნტიო

**რამხელა** მნიშვნელობისაა შოტლანდია-იტალიის დღევანდელი მატჩი, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. აპენინებზე ძალიან ნერვიულობენ და ამბობენ, თუ „სკუადრა აძურა" წააგებს და ევრო 2008-ის მიღმა დარჩება, ისედაც მრავალჯერ გაკრიტიკებული რობერტო დონადონი აუცილებლად უნდა მოხსნანო.

გავრცელებული ცნობით, თუ დონადონის მოხსნიან, ნაკრებს კარლო ანჩელოტი ჩაიბარებს, რომელმაც უკვე რა ხანია, განაცხადა, მომავალში „საუადრა აძურას" გაწვრთნა მსურსო. კრიზისში მყოფი „მილანი" კი ანჩელოტის ნაცვლად რომელიმე ცნობილ სპეციალისტს მიიწვევს, მაგალითად, ჟოზე მაურინიუს...

განთქმულმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი იტალიის ფანებისთვის ცოტა გამაღიზიანებელი განცხადება გააკეთა — აქაოდა, თუ ჯგუფში ჩავრჩით, ამისგან ტრაგედიას ნუ შევქმნითო.

„შოტლანდიასთან თამაში მართლაც უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება. ჩვენი დღევანდელი პრობლემები მარტო ფეხბურთელების ბრალი არ არის და თუ წავაგეთ, ხელებს ნურც დონადონის შევახოცავთ. ევრო 2008-ზე გასვლა, რა თქმა უნდა, კარგია, ოღონდ წინაალმდეგ შემთხვევაში მოთმინება გვმართებს" — თქვა კაპელომ.

დონ ფაბიოსგან განსხვავებით, „სკუადრა აძურას" ფეხბურთელები და თავად დონადონიც თავდაჯერებულნი არიან. მწვრთნელი ამბობს, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, ხელს ფრეც გვაძლევს, მაგრამ მოსაგებად ვითამაშებთო.

იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი: „ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს. რასაკვირველია, მეტოქეც საკმაოდ ძლიერია, მაგრამ თუ ვინმეს რამესი უნდა ეშინოდეს, ეს შოტლანდიაა."



უილიამ გალასმა რაიმონ დომენეკს არ დაუჯერა

„ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა მოვხვდეთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. როცა გავიგე, რომ ნაკრებში გამომიძახეს, ჯერ არ დავიჯერე, მერე კი სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი. ყველანაირად ვეცდები, ნდობა გავამართლო" — განაცხადა „სკუადრა აძურას" ახალწვეულმა რაფაელე პალადინომ.

დაბოლოს, საფრანგეთის ნაკრების მცველმა უილიამ გალასმა მოულოდნელად განაცხადა, რომ შოტლანდიურ-იტალიურ დაპირისპირებას თვალყურს ტელევიზორით მიადევნებს და აპენინელებს უქომაგებს. მოულოდნელადო, იმიტომ ვამბობთ, რომ, მოგეხსენებათ, როგორი დაძაბული ურთიერთობაა ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო სამყაროებს შორის, მით უმეტეს, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში.

„მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა გვითხრა, ლიტვა — უკრაინას უყურეთ და ჩვენს მომავალ მეტოქეს, უკრაინას დააკვირდითო. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე შოტლანდია — იტალია მირჩევნია და იმედია, ბრიტანელები წააგებენ. მათი კარგი თამაში არ მაკვირვებს, შოტლანდია ძლიერია და ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა, ვფიქრობ, აჯობებს, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი იტალია გავიდეს. ჩვენ კი კიევში რთული გასვლა გველის, სადაც ხელს ფრეც გვაძლევს, ამიტომაც შედარებით მშვიდად ვართ" — თქვა გალასმა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ბავშვები იმიჯისთვის
## ფანებს კარი მიუხურეს

**გაბრიელე სანდრის** ტრაგიკული სიკვდილის მერე იტალიური ფეხბურთის მამების შეკრებებმა პირველი შედეგი გამოიღო — 15 კლუბის ფანებს თავიანთი გუნდების საგარეო მატჩებზე დასწრება აუკრძალეს.

ამ 15 კლუბს შორის 6 სერია A-ს წარმომადგენელია — „ატალანტა", „კატანია", „მილანი", „რომა", „სამპდორია" და „ტორინო". ორი სერია B-სი: „ბარი" და „ჩეზენა". ხუთი C-სი — „პოტენცა", „ტერნანა", „ვერონა", „ტარანტო" და „რეჯინა" და ორიც სერია D-სი — „ტურისი" და „გრანიანო".

შესაძლოა, მალე ეს აკრძალვა „ნაპოლის" ფანებზეც გავრცელდეს, რომლებიც მიმდინარე სეზონში ძალიან უწესოდ იქცევიან. რამდენად იქნება ეს გამოსავალი და კიდევ რა ზომებს მიიღებენ იტალიური ფეხბურთის მმართველები, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ იტალიური პრესის ცნობით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ აპენინებზე საფეხბურთო მატჩები 24-25 ნოემბერს განახლდება. კალენდარი ისედაც გადატვირთულია და პაუზების დრო იტალიის ფეხბურთის ლიგასა და ფედერაციას არ აქვთ.

ისიც დადგინდა, რომ გადადებული „რომა" — „კალიარი" და „ინტერი" — „ლაციო" 5 დეკემბერს გაიმართება. ჩაშლილი „ატალანტა" — „მილანის" ბედი კი ჯერაც უცნობია. როგორც იცით, შესაძლოა, ბერგამოელებს 0:3 წაგება ჩაეთვალოთ.

ასევე სავარაუდოა, რომ „ატალანტა" იყოს ერთ-ერთი იმ კლუბთაგანი, რომელსაც სტადიონზე ფანების შეშვება შესაძლოა გარკვეული დროით აუკრძალონ. ბოლო პერიოდში ბერგამოელი ულტრასები ყველაზე რადიკალური ქცევით გამოირჩევიან.

„ატალანტას" პრეზიდენტმა ივან რუჯერიმ თქვა, მზად ვარ, დამნაშავე უტრასები უმკაცრესად დავსაჯო, საშინაო მატჩებზე კი ბილეთები უფასოდ დავურიგო ბავშვებს, რათა ჩვენზე შექმნილი ცუდი იმიჯი გავაქარწყლოო.

მოკლედ, უახლოეს დღეებში აპენინებიდან კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს უნდა ველოდოთ...

**გიორგი ძაძამიძე**

# მორატის ეზლატანება
## მაგრამ კაკა?

**„ინტერის"** პრეზიდენტი მასიმო მორატი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდის ვარსკვლავმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა „ოქროს ბურთის" გამოკითხვაში მილანელ კაკას უნდა აჯობოს.

მოგეხსენებათ, კაკა „ფრანს ფუტბოლის" წლევანდელი გამოკითხვის აღიარებული ფავორიტია. მართალია, ფრანგული ჟურნალი ოფიციალურ შედეგებს 4 დეკემბერს გამოაცხადებს, მაგრამ ხომ იცით ჩვეულებრივ როგორც ხდება: პარიზული რედაქციიდან ვილაცას გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ გამოაქვს. ერთი სიტყვით, უკვე მთელმა ევროპამ იცის, რომ წლეულს „ბურთს" კაკას მისცემენ, თუმცა მასიმო მორატი არ ცხრება.

„ვინ თქვა, რომ ზლატანი საუკეთესო არ არის? — განრისხდა მილიონერი — ის მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. „იბრას" ეს ჯილდო გაცილებით მეტად ეკუთვნის, ვიდრე ნებისმიერ სხვა ფეხბურთელს. ყველაზე სამართლიანი არჩევანი სწორედ იბრაჰიმოვიჩი იქნება."



შეხედეთ ზლატან იბრაჰიმოვიჩს

თუმცა, რაც უნდა თქვას მორატიმ, იმ ვიღაცამ, ვისაც „ფრანს ფუტბოლის" რედაქციიდან ხმა გამოაქვს, თქვა, გამოკითხულთაგან ყველაზე მეტმა ხმა კაკას მისცაო. ერთი სიტყვით, საუკეთესო ისევ იტალიური სერია A-ს წარმომადგენელი გახდა და რამდენიც უნდა უზზუონ სხვა ქვეყნებმა ამ ლიგას ცხვირი, სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ოქროს ბურთის" ლაურეატი ყველაზე ხშირად სწორედაც სერია A-ს ჰყავდა. იტალიის ჩემპიონატმა ევროპას 17-ჯერ ააწევინა თავის სასარგებლოდ ხელი. მეორე ადგილზეა ესპანური პრიმერა, რომლის მოთამაშეც 12-ჯერ დაასახელეს საუკეთესოდ. მესამეზე გახლავთ ბუნდესლიგა 9 ლაურეატით, ინგლისური პრემიერლიგა კი დიდი ევროპული ოთხეულიდან ყველაზე მოკრძალებული გახლავთ — 5.

**პაპუნა ძიდია**

# ოსიმს ფეხბურთმა
## გული გაუხეთქა

**იაპონიის** ნაკრების მწვრთნელს ივიცა ოსიმს გუშინ გულის შეტევა მოუვიდა — 66 წლის ბოსნიელი, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებს 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ჩაუდგა სათავეში, ტოკიოს სამხრეთით მდებარე ჩიბაში, საკუთარ სახლში გახდა ცუდად.

„ამ საშინელმა ამბავმა ყველანი დაგვზაფრა — უთხრა ჟურნალისტებს იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა საბურო კავაბუჩიმ — ოსიმს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ."

ბატონმა კავაბუჩიმ ისიც დასძინა, რომ ბოსნიელი სპეციალისტი საავადმყოფოში ინტენსიური მკურნალობის განყოფილებაში წევს.

„ამწუთას მისი მდგომარეობა სტაბილური არ არის — განაგრძო ასოციაციის პრეზიდენტმა — და ამიტომ მკურნალობის ვადებზე ვერაფერს მოგახსენებთ."

ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა იუნჯი ოგურამ დააზუსტა, რომ ივიცა ოსიმი ცუდად დილით, ტელევიზორში ფეხბურთის ყურებისას გახდა.

ოსიმის ხელმძღვანელობით იაპონიის ნაკრებმა ბოლო თამაში 17 ოქტომბერს ეგვიპტესთან ჩაატარა და 4:1 მოიგო. მის უახლოეს გეგმებში თებერვლამდე რამდენიმე ამხანაგური, ხოლო თებერვალში, ჩრდილო კორეასთან შესარჩევი შეხვედრა შედიოდა.

**პაპუნა ძიდია**



# მაღალი, ნიჭიერი და თანაც ბასკი

## ხავი მარტინესზე რიგია



„ბილბაოს" ნახევარმცველ ხავი მარტინესს არაერთი ევროპული კლუბი უთვალთვალებს. ხავის ბასკურ ფლაგმანთან 2012 წლამდე უწევს თანამშრომლობა, ხოლო მასთან კონტრაქტის გაწყვეტის საფასური 24 მილიონი ევროა.

წლეულს ეს ფეხბურთელი საპრიმერო ბატალიებში არცთუ გამოირჩევა, თუმცა მის ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება. მარტინესი 19 წლისაა და მალე „ბილბაოს" შემადგენლობაში 50-ე მატჩს გამართავს. იგი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების უცვლელი წევრია და ევროპული კლუბების ინტერესს თავისი ათლეტური აღნაგობითაც (190 სანტიმეტრი სიმაღლისაა) იწვევს.

ბოლო თვეებში მარტინესთან საქმის მოგვარებას „ლივერპული" და „ფიორენტინა" ცდილობდნენ. ესპანური მედიის ცნობით, ხავის შეძენა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე რაფაელ ბენიტესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება.

„ფიორენტინა" კი იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძვის. თითქმის ორმოცი წელია, რაც „იებს" სკუდეტო არ მოუგიათ. ფლორენციელთა მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი ხავი მარტინესს მას შემდეგ აკვირდება, რაც ზაფხულში „ფიორენტინამ" და „ბილბაომ" ამხანაგური მატჩი გამართეს. მაშინ ბასკებმა 3:0 იმარჯვეს, პრანდელიმ კი თავისი კლუბის მმართველობას ხავი მარტინესის ყიდვა სთხოვა.

**ლადო ხომერიკი**

# უფალო, მომეც ხელი უხელოს





**პარაგვაული** „ტაკუარის" ფეხბურთელი ხულიო გონსალეს ფერეირა ფეხბურთს დაუბრუნდა. უბედური შემთხვევის მიზეზით მან ორი წელიწადი გააცდინა — 2005 წელს, როცა იტალიურ „ვიჩენცაში" თამაშობდა, ავტოკატასტროფის შედეგად მარცხენა ხელი დაკარგა.

ამ უბედურებამ 26 წლის გონსალესი ვერ გატეხა და პარაგვაელი ფეხბურთელი საყვარელ საქმეს უბრუნდება. წესითა და რიგით, მისი ხელმეორე დებიუტი ასუნსიონის „ოლიმპიასთან" წუხანდელ მატჩში უნდა შემდგარიყო.

„დიდი საშინელების გადატანა მომიხდა, მაგრამ ღმერთის რწმენა არასოდეს დამიკარგავს. მადლობა უფალს, რომ საყვარელი საქმით, ფეხბურთის თამაშით გახარების კიდევ ერთი შანსი მომცა" — თქვა ფერეირამ. სანამ უბედური შემთხვევის გამო დაზარალდებოდა, მან პარაგვაის ნაკრებთან ერთად 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიგო.

**ლადო ხომერიკი**

# სიმართლის მთქმელს ჩაფხუტი უნდა ეხუროს

## ჩეხი: ჩელსი კარგია, მაგრამ ბარსა...



**„ჩელსის"** მეკარე პეტრ ჩეხმა ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „ბარსელონაში" სიამოვნებით ითამაშებდა.

„ჩელსიში" თავს დიდებულად ვგრძნობ, მაგრამ თუ „ბარსელონამ" კონტრაქტი შემომთავაზა, ესპანეთში წასვლის ცდუნებას ალბათ ვერ გავუძლებ" — აღიარა ჩეხეთის ნაკრების მეკარემ.

ჩეხი 25 წლისაა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნევა. იგი ინგლისშიც და მის გარეთაც ძალიან პოპულარულია. მას შემდეგ, რაც „რედინგის" სტივენ ჰანტთან საშინელი შეჯახების შემდეგ კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა, პეტრ ჩეხი მოედანზე სპეციალური დამცავი ჩაფხუტის გარეშე არ გამოდის.

პეტრ ჩეხი ამჟამად ტრავმირებულია, ხოლო „ჩელსისთან" შარშან გახანგრძლივებული კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

**ლადო ხომერიკი**



**ბრაზილიელი** ფორვარდი ადრიანო „ინტერმა" სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად და დეპრესიიდან გამოსასვლელად სამშობლოში გაგზავნა. თუ რამდენი ხანი დასჭირდება 25 წლის ფეხბურთელის გონზე მოყვანას, ჯერ უცნობია და არც „ნეროაძურის" დაუსახელებია ის ვადა, როცა ადრიანო იტალიაში უნდა დაბრუნდეს. მოგეხსენებათ, „იმპერატორს" ახლა მძიმე დრო უდგას და მისი სამკურნალოდ გაგზავნა რამდენიმე დღის წინ გადაწყდა. „ინტერი" ადრიანოს შვეიცარიაში ან აშშ-ში გაშვებას გეგმავდა, მაგრამ მან ორივე ვარიანტი იუარა და სამშობლოში წასვლის ნება ითხოვა, რასაც მილანური კლუბი დაჰყაბულდა.

**კოკი კანდელაკი**

# ყველაზე იოლი ხერხი

## 45 ათასი დღეში



**მიუხედავად** იმისა, რომ „ბარსელონა" აცხადებს, რონალდინიო არ იყიდებაო, ბრაზილიელის ხელში ჩაგდების მოსურნე გუნდები, „ჩელსი" და „მილანი", რონიზე ნადირობის შეწყვეტას არ აპირებენ. „კოჭა" „კამპ ნოუზე" ძველებურად ვეღარ არის, და ყველამ იცის, რომ თუ რონალდინიომ „ბარსელონადან" წასვლა გადაწყვიტა, საბოლოოდ ამას აუცილებლად გააკეთებს.

„ბარსელონას" ვარსკვლავით განსაკუთრებით რომან აბრამოვიჩის გუნდია დაინტერესებული. „ჩელსის" ფულუხვმა პატრონმა ფეხბურთელის გადაბირების ყველაზე ცნობილი და მისთვის ადვილი ხერხს მიმართა. კატალონიური „სპორტის" ინფორმაციით, თუ რონალდინიო გაისად ლურჯი ფორმის მორგებას და ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშს დათანხმდა, კვირაში გასამრჯელოდ 315 ათას ევროს მიიღებს. ანუ რონის დღიური ხელფასი 45 ათასი ევრო იქნება.

შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ „ჩელსიში" ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის ჯამაგირი კვირაში 180 ათასი ევროა...

ჯერჯერობით „სტემფორდ ბრიჯზე" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერია, ვისი შემოსავალიც კვირაში 131 ათას გირვანქას, ანუ თითქმის 200 ათას ევროს შეადგენს.

თუ რონალდინიოს ინგლისური ტრანსფერი შედგა, ბრაზილიელი წელიწადში 10 მილიონ ევროზე მეტს მიიღებს და დევიდ ბექჰემის მერე მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად იქცევა.

„ჩელსი" ბრაზილიელს გრძელვადიან კონტრაქტს, 4-5 სეზონით თანამშრომლობას სთავაზობს. რონის ლონდონური კლუბისთვის ჯერჯერობით პასუხი არ მიუცია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ „კამპ ნოუზე" წელიწადში „სულ რაღაც" 8,5 მილიონ ევროს უხდიან, „კოჭა" რომან არკადიევიჩის წინადადებაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს.

**ლადო ხომერიკი**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**სამხრეთ ამერიკა. III ტური. დღეს**

არგენტინა — ბოლივია
კოლუმბია — ვენესუელა
პარაგვაი — ეკვადორი

**ხვალ**

ურუგვაი — ჩილე
პერუ — ბრაზილია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვენესუელა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კოლუმბია | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:5 | 1 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**აზია**

**III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. ხვალ**

ტაჯიკეთი — სინგაპური (0:2)
სირია — ინდონეზია (4:1)
ტაილანდი — იემენი (1:1)
თურქმენეთი — ჰონკონგი (0:0)

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ფინელებს რუსი გაუღლახეს



შესაძლოა, პორტუგალია ჯგუფიდან სკოლარის გარეშე გავიდეს

**A ჯგუფი**

ფინეთი — აზერბაიჯანი
პოლონეთი — ბელგია
სერბეთი — ყაზახეთი
პორტუგალია — სომხეთი

**ძალიან** ჩახლართული ვითარებაა — ოთხ გუნდს აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი და ოთხივე დღეს შინ თამაშობს. ევროპის წინა ჩემპიონატის ფინალისტი პორტუგალია სომხეთს უმასპინძლებს, რომლის დროებითი მწვრთნელი ტომ ჯონსი გუშინწინ მოხსნეს. მან გუნდი სექტემბერში ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი იან პორტერფილდი გარდაიცვალა. სომხეთის ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, ტომ ჯონსზე უფრო სახელოვანი კაცის დანიშვნას ვაპირებთო.

პორტუგალიელთა თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციის ვადა ამ მატჩის მერე გასდის. დღეს კი გუნდს კვლავ მისი თანაშემწე ვიო მურტოზა გაუძღვება. შეგახსენებთ, რომ სკოლარიმ სერბეთთან მატჩში ივიცა დრაგუტინოვიჩის გაარტყა და ამისთვის დასაჯეს.

პორტუგალია სომხეთს თუ მოუგებს და ოთხშაბათს ფინეთთან ფრეს ითამაშებს, ევროჩემპიონატის საგზურს გაინაღდებს. მასპინძლებს ტრავმის გამო მიგელ მონტეირო, რიკარდუ კარვალიუ, პაულუ ფერეირა, ჟორჟე ანდრადე, დეკუ და არმანდო პეტიტი დააკლდებათ. დღესვე შესაძლოა, პეპეს და აბელ ფერეირას დებიუტიც შედგეს, რომლებსაც დაშავებული მცველების ნაცვლად უხმეს. „ჩემი დრო მოვიდა და თავს არ დავზოგავ ნაკრებში დასამკვიდრებლად“ — თქვა „სპორტინგის“ ფეხბურთელმა ფერეირამ.

პოლონელ გულშემატკივრებს დღესვე შეუძლიათ, ავსტრია-შვეიცარიის ბილეთები შეუკვეთონ — საამისოდ ლეო ბენჰაკერის გუნდმა ბელგია უნდა დაამარცხოს. ჰოლანდიელის გარჯით პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია დიდად კმაყოფილია და მალე კონტრაქტს 2010 წლამდე გაუხანგრძლივებენ. ბელგიასთან და ოთხშაბათს სერბეთთან მატჩში ბენჰაკერს „ვისლას“ ნახევარმცველი დარიუშ დუდკა ვერ დაეხმარება. მის ნაცვლად მწვრთნელმა „ლეგიადან“ ტომაშ კიელბოვიჩი გამოიძახა.

სერბებს და ფინელებს სასწაული თუ უშველით, რომელიც, ალბათ, არ მოხდება. მათ ორივე დარჩენილი მატჩი უნდა მოიგონ, პოლონეთს და პორტუგალიას კი ფეხბურთის თამაში დაავიწყდეს.

სერბთა ფორვარდმა ნიკოლა ჟიგიჩმა თქვა: „სამწუხაროდ, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ აღარაა, მაგრამ სანამ მცირე შანსი მაინც გვექნება, ვიბრძოლებთ. მარტში ყაზახებთან სტუმრად წავაგეთ და რევანში გვწყურია.“ ჟიგიჩის თანაგუნდელი დეიან სტანკოვიჩი ტრავმირებულია და, შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

ფინელებს აზერბაიჯანთან მატჩის წინ იარი ლიტმანენი გამოუკეთდათ, თუმც 24 წლის გაფინელებული რუსი ფორვარდი ალექსეი ერიომენკო დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. დასჯილიც რომ არ ყოფილიყო, ერიომენკო მაინც ვერ დაეხმარებოდა გუნდს, რადგან „სატურნის“ ფეხბურთელი კვირას მოსკოვში სცემეს. კლუბის ბანკეტიდან გარეთ გამოსულს ბიჭები დაუხვდნენ და, როგორც დაზარალებულის მამამ განაცხადა, უმიზეზოდ მიბეგვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:10 | 24 |
| პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23:10 | 23 |
| სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:9 | 20 |
| ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13:14 | 15 |
| სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4:11 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:20 | 7 |
| აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:25 | 5 |

**XII ტური: 21 ნოემბერი**

სომხეთი — ყაზახეთი
პორტუგალია — ფინეთი
სერბეთი — პოლონეთი
აზერბაიჯანი — ბელგია

**წინა მატჩები**

ბელგია — ყაზახეთი 0:0; სერბეთი — აზერბაიჯანი 1:0; პოლონეთი — ფინეთი 1:3; აზერბაიჯანი — ყაზახეთი 1:1; ფინეთი — პორტუგალია 1:1; პოლონეთი — სერბეთი 1:1; სომხეთი — ბელგია 0:1; სერბეთი — ბელგია 1:0; პორტუგალია — აზერბაიჯანი 3:0; სომხეთი — ფინეთი 0:0; ყაზახეთი — პოლონეთი 0:1; სერბეთი — სომხეთი 3:0; პოლონეთი — პორტუგალია 2:1; ბელგია — აზერბაიჯანი 3:0; ყაზახეთი — ფინეთი 0:2; ფინეთი — სომხეთი 1:0; ბელგია — პოლონეთი 0:1; პორტუგალია — ყაზახეთი 3:0; პოლონეთი — აზერბაიჯანი 5:0; ყაზახეთი — სერბეთი 2:1; პორტუგალია — ბელგია 4:0; აზერბაიჯანი — ფინეთი 1:0; პოლონეთი — სომხეთი 1:0; სერბეთი — პორტუგალია 1:1; ყაზახეთი — სომხეთი 1:2; ფინეთი — სერბეთი 0:2; ბელგია — პორტუგალია 1:2; აზერბაიჯანი — პოლონეთი 1:3; ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1:1; ფინეთი — ბელგია 2:0; სომხეთი — პოლონეთი 1:0; ფინეთი — ყაზახეთი 2:1; ბელგია — სერბეთი 3:2; სომხეთი — პორტუგალია 1:1; სერბეთი — ფინეთი 0:0; პორტუგალია — პოლონეთი 2:2; ფინეთი — პოლონეთი 0:0; ყაზახეთი — ბელგია 2:2; პორტუგალია — სერბეთი 1:1; სომხეთი — სერბეთი 0:0; პოლონეთი — ყაზახეთი 3:1; ბელგია — ფინეთი 0:0; აზერბაიჯანი — პორტუგალია 0:2; ყაზახეთი — პორტუგალია 1:2; ბელგია — სომხეთი 3:0; აზერბაიჯანი — სერბეთი 1:6

# თერიმის გეგმა ნორვეგიამ დაიწუნა

**C ჯგუფი**

მოლდოვა — უნგრეთი
ნორვეგია — თურქეთი
საბერძნეთი — მალტა

„**შეუძლებელი** არაფერია“ — თქვა თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა ნორვეგიასთან მატჩის წინ. წინა ტურში ოსმალოები შინ ბერძნებთან 0:1 დამარცხდნენ, ხოლო „ვიკინგებმა“ სტუმრად ბოსნიას მოუგეს და თერიმის გუნდს ჯგუფში მეორე ადგილი წაართვეს. დღეს ნორვეგია თუ იმარჯვებს, ევრო 2008-ის საგზურს ჩაიჯიბავს.

„ჩემი გეგმით ნოემბრისთვის ნორვეგიაზე ოთხი ქულით წინ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ სხვა ვითარებაში აღმოვჩნდით — განაცხადა თურქთა თავკაცმა — ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია და ოსლოში მოსაგებად ვიბრძოლებთ. ჩემი მოთამაშეების მჯერა.“

ოსმალოებს ოსლოში ბრძოლა ილდირაი ბაშთურქის და ფათიჰ თეკეს გარეშე მოუწევთ. სერჰათ აკინის და მეჰმეთ აურელიოს გრიპი შეჰყრიათ, რის გამოც მათი თამაში საეჭვოა. თერიმმა სანორვეგიოდ ხუთი ისეთ ფეხბურთელს უხმო, რომლებსაც ნაკრების მაისურა აქამდე არ სცმიათ.

თერიმი: „არ ვეთანხმები მათ, ვინც ახლების გამოძახებას მიწუნებს ასეთი მნიშვნელოვანი მატჩისთვის. მათ ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშიათ და ამჟამად კარგ ფორმაში არიან.“

ნორვეგიას ტრავმის გამო დააკლდება „რუსენბორგის“ ნახევარმცველი მარტინ ანდერსენი, რომლის ადგილსაც მისი თანაგუნდელი ალექსანდერ ტეტეი (წარმოშობით გერმანელი) დაიკავებს. შეტევაში იქნებიან შტეფან ივერსენი და იონ კარეუ. შესარჩევ ციკლში ორივემ ოთხ-ოთხი გოლი გაიტანა.

„ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია. სხვა გუნდები ეგებ უფრო ტექნიკურები არიან, მაგრამ ნორვეგიელები გულიანად ვშრომობთ და წარმატებასაც ამის ხარჯზე ვაღწევთ“ — განაცხადა იონ არნე რიისემ.

21 წლის ტეტეი კი მეორედ გამოიძახეს ნაკრებში, რაზეც ბიჭმა თქვა: „სულაც არ ვღელავ. 16 წლისა რომ ვიყავი, ნერვიულობა მაშინ დავამთავრე.“

ევროპის ჩემპიონმა საბერძნეთმა ოქტომბერში თურქთა სტუმრად დამარცხებით ევრო 2008-ის ვიზა მიიღო, დღეს კი მალტასთან მოგება და ფანებისთვის ზეიმის მოწყობა სურს. ელინთა მწვრთნელი ოტო რეჰაგელი გუნდს მოდუნების უფლებას არ აძლევს: „მეტოქის შეუფასებლობა არ შეიძლება. მერე რა, რომ ჯგუფიდან უკვე გავედით. აგერ, გერმანიამაც გაინაღდა ევროჩემპიონატზე წასვლა და მერე ჩეხეთთან შინ 0:3 წააგო, რის გამოც ფანებმა უსტვინეს. ჩვენ მათი შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ. ყოველი მატჩი მნიშვნელოვანია.“

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 18:9 | 25 |
| ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22:8 | 20 |
| თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22:10 | 18 |
| ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16:21 | 13 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10:17 | 12 |
| მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9:22 | 5 |

**XII ტური: 21 ნოემბერი**

მალტა — ნორვეგია
უნგრეთი — საბერძნეთი
თურქეთი — ბოსნია

**წინა მატჩები**

| 15172 კადისი-ნუმანსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 სევილია ბ-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 მალაგა -ფეროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 ტარაგონა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15589 ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15599 მონპელიე-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16007 | პოლონეთი-ბელგია | 1.12 | 4.60 |
| 16009 | ლიტვა-უკრაინა | 2.40 | 1.45 |
| 16011 | შოტლანდია-იტალია | 2.45 | 1.40 |
| 16012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.80 | 1.80 |
| 16013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.45 | 2.45 |
| 16016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.11 | 5.70 |
| 16021 | მაკედონია-ხორვატია | 3.60 | 1.23 |
| 16022 | ისრაელი-რუსეთი | 4.20 | 1.15 |
| 16023 | ანდორა-ესტონეთი | 4.20 | 1.15 |
| 16025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.22 | 3.40 |
| 16026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 2.40 | 1.45 |
| 16029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.65 | 2.05 |
| 16030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.32 | 3.00 |
| 16053 | პერუ-ბრაზილია | 3.30 | 1.25 |
| 16054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.14 | 4.70 |
| 16055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.23 | 3.60 |
| 16056 | ურუგვაი-ჩილე | 1.23 | 3.60 |
| 16165 | ჰერკულესი-სელტა | 1.58 | 2.10 |
| 16166 | კასტელონი-იბარი | 1.40 | 2.55 |
| 16167 | კორდობა-ეხიდო | 1.22 | 3.40 |
| 16168 | ალავესი-ლას პალმასი | 1.25 | 3.40 |
| 16169 | სალამანკა-ელჩე | 1.65 | 2.05 |
| 16170 | ტენერიფე-სერესი | 1.30 | 3.00 |
| 16171 | გრანადა -ალბასეტე | 1.40 | 2.55 |
| 16172 | კადისი-ნუმანსია | 2.10 | 1.60 |
| 16173 | სევილია ბ-სპორტინგი | 1.55 | 2.20 |
| 16174 | მალაგა -ფეროლი | 1.14 | 4.70 |
| 16175 | ტარაგონა-სოსიედადი | 1.55 | 2.20 |
| 16589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16599 | მონპელიე-სედანი | 1.50 | 2.30 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17007 | პოლონეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ლიტვა-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17011 | შოტლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | უელსი-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | მაკედონია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | ისრაელი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ანდორა-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | პერუ-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ურუგვაი-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ჰერკულესი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17166 | კასტელონი-იბარი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | კორდობა-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ალავესი-ლას პალმასი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | სალამანკა-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ტენერიფე-სერესი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | გრანადა -ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17172 | კადისი-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17173 | სევილია ბ-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | მალაგა -ფეროლი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ტარაგონა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17599 | მონპელიე-სედანი | 1.85 | 1.95 |



# ჯორჯიაში ჯორჯიული ითქვა
## ოქროს კაცები ბნელი დარბაზიდან

სპორტის რამდენიმე სახეობაში ქართველების განსაკუთრებულ ნიჭსა და სიძლიერეზე ბევრს წერენ და კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობენ. ჭიდაობაში, ძიუდოსა თუ სამბოში ჩვენი გუნდების მიღწევებზე არაერთხელ მოგვიხარებია, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სამჭიდელთა ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგის მსგავსი მიღწევა არავისგან არ გვახსენდება.

9-11 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს 28 ქვეყნის ხუთასამდე ათლეტი შეიკრიბა. მათ შორის რვა ქართველი იყო და რვავე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

„მეტის მიღწევა თეორიულადაც შეუძლებელი იყო, თორემ კიდევ ვიბრძოლებდით" — იხუმრა გუნდის თავკაცმა ზურაბ ჭავჭანიძემ. მწვრთნელ-შეგირდები შეერთებული შტატებიდან გუშინ დილით დაბრუნდნენ და საშინლად დამღლელი მგზავრობის მიუხედავად, რამდენიმე საათში მედალ-ჯილდოებით დატვირთულნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზში მოვიდნენ ჟურნალისტებთან შესახვედრად.

ათლეტიზმის დარბაზი კი ჰქვია, მაგრამ იმ ბნელ ოთახს დარბაზის მეტი ყველაფერი ეთქმის. საინტერესო იქნება სხვა ქვეყნის ნაკრებთა წევრების სახეების დანახვა, ქართველი ათლეტების სავარჯიშო პირობები რომ იხილონ. ჭავჭანიძის დევკაცები კი ამასაც კმაყოფილდებიან და თავიანთ საქმეს ისე წყნარად აკეთებენ, თითქოს სასაყვედურო-საწუწუნო არაფერი ჰქონდეთ.

„ეს ხალხი ენთუზიაზმზე მუშაობს" — ამბობს მწვრთნელი — არაერთი ნიჭიერი და ძალიან ძლიერი ბიჭი მარტო იმიტომ გამოგვაკლდა, რომ სავარჯიშოდ სიარულის ფინანსური შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. ყოველ წელს თავიდან გვიწევს იმის ახსნა, თუ ვინ ვართ და სპორტის რომელ სახეობაში გამოვდივართ. ოლიმპიური სახეობა არ ვართ და აქ მთავრდება ხელის გამართვაზე საუბარი".

ახლა კი ყველაზე მთავარი. ჭავჭანიძის ამ სიტყვებმა ჟურნალისტები გვარიანად გაგვახალისა.

„ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა. ძველი თაობიდან მხოლოდ ორი კაცი გვყავდა, დანარჩენები სულ დებიუტანტები იყვნენ და, სიმართლე გითხრათ, ასეთ წარმატებას არც ველოდი".

ძველი შემადგენლობიდან ერთი ათლეტი, გერონტი ჯმუხაძე, ქართულ გუნდში ყველაზე ტიტულიანია. საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე 2003 წლიდან გამოდის და გერონტი განაცხადის მუდმივი წევრია. მეტიც, იგი ხუთივე მსოფლიოზე ჩემპიონი გახდა.

„ყველაზე სასიხარულო, რა თქმა უნდა, პირველი ტიტული იყო, თუმცა დანარჩენი ოთხიც მშვენიერი გასახსენებელია. მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველ წელს ტარდება. ამას გარდა, წლის განმავლობაში კიდევ ბევრი ტურნირია, მაგრამ ფინანსური სიდუხჭირის გამო მათზე გამოსვლას ვერ ვახერხებთ. ის კი არა, მსოფლიოზეც ჩვენი ხარჯით გვიწევს ხოლმე გამგზავრება და ამის გამო ბევრი ძლიერი ბიჭი თბილისში რჩება" — გვითხრა ნაკრების უმძიმესმა წევრმა.

ამერიკამოვლილ გუნდში ყველაზე მეტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბის გამთამაშებლის, ნიკა ვეფხვაძის ნახვამ გაგვაოცა. გაიღიმა, უკვე შვიდი წელია, ათლეტიზმში ვვარჯიშობ, ბოლო ერთი წელი ინტენსიურად მოვკიდე საქმეს ხელი და პირველივე ტურნირზე ჩემპიონი გავხდიო.




მსოფლიოს ჩემპიონატი ჯორჯიის შტატის მთავარქალაქში, ატლანტაში ჩატარდა. ქართული დელეგაცია კი ნიუ იორკში ჩაფრინდა. მერე მომქანცველი ფრენით ისედაც დაღლილებმა დაახლოებით 1600 კილომეტრი მანქანით გაიარეს. ამით გზის ხარჯებში ხომ გასწიეს ეკონომია, პლუს ოცდაერთსაათიანი მგზავრობით სასტუმროში ცხოვრების ერთი ზედმეტი დღეც მოიკლეს. სპორტსმენთან დაახლოებულმა ერთმა პიროვნებამ ჩუმად ისიც გვითხრა, ქალაქში, სადაც სასტუმროს ნომრის მინიმალური საფასური 200 დოლარია, ამათ ჩინური სასტუმრო მოძებნეს თავისი 25-დოლარიანი ოთახებით.

დამშვიდობებისას ათლეტთა თავკაცმა გვთხოვა, სტატიაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მისამართით ათლეტების მადლობა არ დაგვეწყებოდა. ცნობისთვის, რვა ქართული ოქროდან, ერთი სწორედ ზურაბ ჭავჭანიძისაა. მან ვეტერანებს შორის იჩემპიონა.

აქვე 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ქართველების სრული სია: რამაზ აზარიაშვილი, ალექსი ორკოდაშვილი, ნიკა ვეფხვაძე, ბექა მაზანიშვილი, კახა ერგემლიძე, მანუჩარ ჭინჭარაული, ზურაბ ჭავჭანიძე, გერონტი ჯმუხაძე.

დაბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ათლეტიზმში 5 მილიონზე მეტი კაცი ვარჯიშობს და სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი პოპულარულია. საქართველოში კი ამდენი, სპორტსმენ-არასპორტსმენიანად ერთად არა ვართ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# რა ცოტანი ვართ?!
## ვინ რას გააყალბებს, ჩვენ პასუხს ვერ მოვთხოვთ

**ორშაბათის** „სარბიელში" დავწერეთ, რომ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ორი ქართველი — დავით ბედინაძე და რამაზ ნოზაძე, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შეიყვანა და აქედან ერთის არჩევის საშუალება გულშემატკივარს დაუტოვა. იქვე ის ინტერნეტ-მისამართებიც მივუთითეთ, რომლებზეც ჩვენებურთათვის ხმის მიცემა შეიძლებოდა და გამოკითხვაში აქტიურობისკენაც მოგიწოდეთ.

გადაწყვეტილი გვქონდა, მოწოდება ხმის მიცემის დასრულებამდე ანუ 1 დეკემბრამდე, ყოველდღე გაგვემეორებინა და ოთხშაბათის, 14 ნოემბრის ჩათვლით განახლებულ შედეგებსაც გაწვდიდით, მაგრამ ბოლო სამი დღე ვებგვერდებზე, რომელთა ორგანიზებაც, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსებს ჰქონდათ დავალებული, პრობლემები შეიქმნა.

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებისთვის ხმის მიცემა და შედეგების ნახვა შეუძლებელი გახდა. თავიდან ვიფიქრეთ, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენთვის იყო, რადგან ხშირად ინტერნეტ-გამოკითხვებში ხმის მიცემის რაოდენობა შეზღუდულია. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ არც ერთ რუსულ ვებგვერდზე ამ სახის შეზღუდვაზე მითითება არ ყოფილა, რა დასამალია და, დღეში არაერთ და ორ ხმას ვამჟღავნებდით ჩვენებურებს.

გუშინ რედაქციაში მავანმა გულშემატკივარმა დაგვირეკა და იგივე შემოგვჩივლა. მერე გამოკითხვაში მონაწილეობისთვის იმათაც დაურეკეთ, მანამდე რომ არ ჰქონდათ ხმა დაფიქსირებული. -www.allsport.ru-ისა და www.wrestrus.ru-ს კარი მათთვისაც დახურული აღმოჩნდა.

ვითარებაში გასარკვევად ვებგვერდების ადმინისტრაციას დავუკავშირდით.

„ხმის მიცემის პროცესის შეჩერების მიზეზი მონაწილეთაგან ხმების „დატრიალების" მცდელობა გახდა. ამას სპეციალური პროგრამების დახმარებით ცდილობდნენ და იძულებულნი გავხდით, გამოკითხვა დროებით ყველასთვის დაგვებლოკა" — გვიპასუხეს რუსეთიდან და იქვე დაგვაიმედევს, სავარაუდოდ, ხვალიდან ყველაფერი კარგად იქნებაო.

გუშინვე ორივე ვებგვერდზე ოფიციალური მობოდიშებებიც გამოკიდეს, პროცესის შეჩერებამდე დაფიქსირებულ შედეგებთან ერთად. ბერძენ-რომაელ ნომინანტებში ყველაზე მეტი — 4201 ხმა აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვს აქვს. რამაზ ნოზაძე და დავით ბედიანიძე კი 318 და 113 ხმით მეხუთე-მეექვსე პოზიციებზე დგანან.



# ქართული დღე ფუკუოკაში



**ლევან ცაგურიამ** ნოემბრის ბაშოზე მოგება-წაგებათა მონაცვლეობის ტრადიცია გუშინ, მეექვსე ტურში დაარღვია, თან ისე, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა. კოკაიმ რიგითი მაეგაშირა იოსიკაძის დოჰიოდან გადაგდებას სამი წამი მოანდომა, მეოთხე ქულა მიითვალა და დადებითი ბალანსიც ორ ქულამდე გაიზარდა.

გუშინვე ფუკუოკურ ტურნირზე ერთი ქართული ამბავიც მოხდა. მესამე დივიზიონ მაკუსიტაში მოჭიდავე ლევან გორგაძემ წაუგებელი სერია ოთხ ბრძოლამდე აიყვანა და რახან, უმაღლეს დივიზიონ მაკუტისგან განსხვავებით, მეორე-მესამეში მხოლოდ შვიდი ტურია, საბოლოო დადებითი ბალანსი — კატიკოსი — ვადაზე ადრე გაინაღდა. ეს კი ნიშნავს, რომ იანვარში ტოჩინოსინის სახელით მოჭიდავე ქართველი მეორე დივიზიონ ძიუროში აინაცვლებს.

ამასობაში იმპერატორის თასის მარათონს ერთი გამოკვეთილი ლიდერიღა შერჩა. ექვსი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი მხოლოდ ოძეკი ტიოტაიკაია. დევკაცმა, რომელიც მეორე იერარქიულ საფეხურზე ზედიზედ სარეკორდო, 53-ე ტურნირს ატარებს, გუშინ სეკივაკე ამინისიკი დაჩაგრა.

პირველად წაიფორხილა ესტონელმა ბალტმა. აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირას ცოდვაში ფეხი ასევე მაეგაშირა კაკიძოემ ჩადგა. თავად ხომ გაიხარა და ტიოტაიკაისაც ასიამოვნა.

ბალტის გარდა ერთწაგებიანთა ჯგუფში არიან იოკოძუნა ხაკუხო, ოძეკი კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები — ვაკანოსატო და გოეიდო.

აქვე ერთი საინტერესო და მოულოდნელი ამბავიც — „ბალკანელ გულივერად" წოდებულმა 203-სანტიმეტრიანმა ბულგარელმა ოძეკიმ კოტოოსიუმ მეექვსე ტურში მეოთხე მარცხი იწვნია, ამჯერად ექსკომუსუბი ტოკიტენკუსგან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ბუჩაკ ფოლადიშვილის ფოტო

დავით უსტიაშვილი ევროთასიდან ეროვნულზე გადაერთო

**საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასთან ერთად სუპერლიგა განახლდა. ხვალ მეხუთე ტურის მატჩებს ვერის ბაღი უმასპინძლებს. თამაშების ვერაზე გადატანის მიზეზი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა გახდა, რომელიც ორშაბათს უნდა გაიმართოს. თურმე, ამ გრანდიოზული ღონისძიებისთვის კვირას სპორტის სასახლეს საგანგებო მომზადება სჭირდება. ტურის ცენტრალურ მატჩად მონათლულია გასული ჩემპიონატის ფინალისტების, „ენერჯი-ინვესტისა" და „ავიამშენის" შერკინება, რომლებიც დღესდღეობით ცხრილში გვარიანად არიან ერთმანეთს დაშორებულნი. რუსთაველი გუნდი ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობს, „ავიატორებმა" კი 2 მატჩის ნაგება „მოახერხეს" და ცხრილში მხოლოდ მოუგებელ „დინამოს" უსწრებენ. გუშინ კლუბ „12 მაგიდაში" ამ მატჩთან დაკავშირებული პრესკონფერენცია გაიმართა**

# ძველი, ნაცნობი ვერის ბაღი

***დავით უსტიაშვილი***, „ენერჯი-ინვესტის" მთავარი მწვრთნელი:

— მოგეხსენებათ, ევროთასზე ვითამაშეთ ორი მატჩი და სამწუხაროდ, შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. ახლა მთლიანად ჩემპიონატზე გადმოვერთეთ და მზად ვართ ბრძოლისთვის. საბედნიეროდ, ტრავმები არავის აწუხებს და ბიჭები სრულ მზადყოფნაში არიან. მართალია, გუნდი ამერიკელმა ბელტონ რივერსმა დატოვა, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით და გვყავს ხალხი, რომლებიც მას შეცვლიან...

— ვერის ბაღში არ იქნება ისეთი კარგი პირობები, როგორც სპორტის სასახლეშია, მაგრამ ეს უპირატესობის არავის მიანიჭებს. თუკი ჩვენი გუნდისთვის იქნება დარბაზი ბნელი და მოედანი სრიალა, ეს ხომ მეტოქესაც შეუშლის ხელს. ისე კი, ვერის ბაღში ყველას უთამაშია და იქაური დისკომფორტი არავისთვის იქნება უცხო. საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ვეთამაშებით და ვნახოთ, რა იქნება ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გველის...

„ავიამშენის" მხრიდან პრესკონფერენციაზე მთავარი მწვრთნელის, **ლევან მოსეშვილის** ასისტენტი, ვაჟა მხეიძე დადიოდა, თუმცა მესამე ტურში თსუ-სთან მატჩში მომხდარი აყალმაყალის გამო ამ უკანასკნელს დისკვალიფიკაცია მისცეს და ჟურნალისტებთან ბატონი ლევანი მოვიდა:

— ბოლო რამდენიმე წელია, ჩემს გუნდს ასეთი ცუდი სტარტი არ ჰქონია. სამ ტურში უკვე 2 მატჩი წავაგეთ და თანაც საშუალო გუნდებთან და ეს იმას მიანიშნებს, რომ შეთამაშება გვაკლია. ჩვენს გუნდს მდგომარეობის გამოსწორების უნარი შესწევს და მაქსიმალურად უნდა მოვინდომოთ, რომ ეს შევძლოთ...

— ბოლო მატჩში მომხდარი ინციდენტი ძალიან არასასიამოვნოა და კარგია, ფედერაციამ რომ ასეთი პრინციპულობა გამოიჩინა და დამნაშავენი სამაგალითოდ დასაჯა. ეს კარგი მაგალითია როგორც ჩვენი გუნდის წევრებისთვის, ასევე ნებისმიერისთვის და ვფიქრობ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება. მსაჯიც ადამიანია და შეიძლება შეეშალოს, მაგრამ თუ რამის პრეტენზია გაქვს, საქმე ბოლო წუთებამდე არ უნდა მიიყვანო და არბიტრის ერთმა შეცდომამ არ უნდა წაგაგებინოს...

— „ენერჯი-ინვესტი" წაუგებლად მიდის წინ, ჩვენ კი უკვე ორჯერ ვიწვნიეთ მარცხი და ახლა მაინც უნდა მოვახერხოთ გულშემატკივრის გახარება. სამწუხაროა, რომ ყოველ წელს ახალი გუნდის შენება მიწევს და კარგა ხანია, შემადგენლობის შეკვრა-შეთამაშებას ვუნდები. იმედი მაქვს, ეს პროცესი ახლა არ გაიწელება და მალე ჩავდგებით სასურველ რიტმში.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ამ მატჩამდე „დინამოსა" და „მაკაბის" დაპირისპირებას იხილავს გულშემატკივარი, ხოლო კვირის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს „ვიტა" და თსუ დაუპირისპირდებიან.

**ირაკლი პერტაია**

# თუ ფულს გაძლევენ, უნდა იფრინო კიდეც

## ვლადიმერ ბოისა: რუსეთმა გამაოცა, მაგრამ ოჯახისთვის მაინც სლოვენია სჯობს

*ვლადიმერ ბოისა იტალიური „სიენადან" რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეში" რომ გადავიდა, არაერთმა ეს ნაბიჯი გაუმართლებლად ჩათვალა, სად შუაგული ევროპა და, სად ქვეყნის დასალიერი, ვლადივოსტოკში რა უნდოდაო. ერთი თვეა, რუსული სუპერლიგა დაიწყო და დასკვნების გამოტანა უკვე თავისუფლად შეიძლება. ბოისა „პრიმორიეს" ხუთეულში ჩაჯდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა მის რუსულ ყოფაზე თავად ვოვაზე უკეთ ხომ ვერავინ ისაუბრებს. ჰოდა, საქართველოს ნაკრების ფორვარდს საამისოდ სლოვენიაში შევეხმიანეთ...*

— რუსეთის ჩემპიონატში სტუმრად „ტრიუმფის" დამარცხების გამო ხელმძღვანელობამ დაგვასაჩუქრა, სამდღიანი დასვენება მოგვცა და მეც ეგრევე ლიუბლიანაში, ცოლ-შვილის მოსანახულებლად ჩამოვედი.

**— ოჯახი რუსეთში არ გყავს?**

— არა, და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემაა. რუსეთში ბევრი და ხანგრძლივი მოგზაურობა მიწევს. ხან ვლადივოსტოკში ვარ, ხან მოსკოვში, გასვლით თამაშებზე ათასობით კილომეტრზე დავფრინავთ და მირჩევნია, ცოლ-შვილი სლოვენიაში მყავდეს, სადაც არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.

**— რუსეთში რა პრობლემა უნდა შეექმნათ, პირობები არ ვარგა?**

— არა, პირობები იდეალურია. უბრალოდ, ჩემი მოუცლელობა ვიგულისხმე, თორემ სხვა მხრივ რა უნდა გაუჭირდეთ. მე რომ მარტო ვარ, უფრო თავისუფლად ვმოძრაობა აქეთ-იქით და ოჯახის დარდი ნაკლები მაქვს.

**— თვეზე მეტი გავიდა, რაც რუსეთში ხარ და უკვე შეიძლება დასკვნების გამოტანა. შეცდი თუ არა, „სიენას" „პრიმორიე" რომ ამჯობინე?**

— „სპარტაკ-პრიმორიესთან", კონტრაქტი რომ გავაფორმე, მართლაც ვნერვიულობდი, რადგან ჯერ არ ვიცოდი, სად მივდიოდი. ნაღდად არ მეგონა, თუ ვლადივოსტოკში და ზოგადად რუსეთში ასეთი კარგი სიტუაცია დამხვდებოდა, თორემ საერთოდ არ ვიდარდებდი. 6-7 წლის წინ ვიყავი მოსკოვში და იმდროინდელ რუსეთთან ახლანდელი ცა და დედამიწასავით განსხვავდება. სულ სხვა სიტუაციაა — ხალხი გამოიცვალა, შეხედულებები და მისწრაფებები გაუმრავალფეროვნდა. მარტო ჩაცმულობაზე ეტყობათ რუსებს, რომ ევროპელები გახდნენ. აქ დიდი ფული ტრიალებს და ეს არ შეიძლებოდა, სპორტზე და თავისთავად კალათბურთზე არ ასახულიყო.

**— კონკრეტულად რაში იგრძნობა, რომ კალათბურთში დიდი ფულია?**

— „სპარტაკ-პრიმორიემ" ისეთი კარგი კონტრაქტი შემომთავაზა, რომელსაც ალბათ არც ერთი ევროპული გუნდი არ გამიფორმებდა. ვიცოდი, რომ ვლადივოსტოკურ გუნდს სერიოზული დაფინანსება ჰქონდა, მაგრამ რომ ჩამოვედი, აღმოჩნდა, რომ აქ „პრიმორიეზე" ნაკლები თითქმის არავინაა. რუსეთის სუპერლიგაში 13 გუნდია და აქედან რვა-ცხრას მინიმუმ 4-5 მილიონი ევრო აქვს ბიუჯეტი.

**— მაშ, რატომ უარყოფს ზოგიერთი კალათბურთელი რუსეთში თამაშს?**

— ზოგიერთი ისეთია, ბევრი ფრენა არ უყვარს და სრული კომფორტი უნდა. მე პირადად ამას დისკომფორტად არ ვთვლი. თუ ხელფასს გიხდიან, ათასობით კილომეტრზეც უნდა იფრინო ხოლმე. რაც შეეხება საკვებს, ვლადივოსტოკში ჩინური, იაპონური და იტალიური რესტორნები ბლომადაა და პრობლემა არ მაქვს. მოსკოვზე ხომ არაფერს ვამბობ. სხვათა შორის, ახლა მოსკოვში ვცხოვრობ, რადგან „სპარტაკ-პრიმორიეს" ზამთარში ვლადივოსტოკში თამაშები არ აქვს ყინვების გამო.

**— ახლა რაც შეეხება სპორტულ მხარეს და შენს ადგილს გუნდში. ამ მხრივ როგორ მოერგე „სპარტაკს"?**

— ხუთეულის უცვლელი წევრი ვარ და როგორც არ უნდა ვითამაშო, გინდა 15 ქულა ჩავაგდო და გინდა სულ ვერაფერი, მაინც დაახლოებით 30 წუთს ვატარებ მოედანზე. მწვრთნელი მენდობა და მეც ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია.

**— ბოლო მატჩი კი კარგად ითამაშე, მაგრამ მანამდე ცოტა მოიკოჭლებდი...**

— მცირე ტრავმები მაწუხებდა და საშუალება არ მქონდა, ბოლომდე დავხარჯულიყავი. ახლა მწყობრში ვარ და იმედია, იმ ფორმაში შევალ, როგორითაც სეზონი დავიწყე. იმედის საფუძველს ბოლოს მოსკოვში ჩატარებული მატჩი მაძლევს, სადაც „ტრიუმფს" დაძაბულ ბრძოლაში მოვუგეთ და მე 15 ქულა მოვაგროვე.

**— ეს „სპარტაკ-პრიმორიეს" მესამე გამარჯვება იყო რუსეთის ჩემპიონატში და ჩანს, არცთუ მოკრძალებული ამბიციები გაქვთ...**

— პლეი ოფში გასვლა რეალურია და საამისოდ ვიბრძვით. ჩვენი გუნდი არაა ცუდი, ძლიერი ლეგიონერები გვყავს, მაგრამ ადგილობრივ მოთამაშეებში მოვიკოჭლებთ. აქაურ ჩემპიონატში ასეთი წესია: მოედანზე აუცილებლად უნდა იყოს 2 რუსი მოთამაშე, ჩვენ კი არ გვყავს ძლიერი რუსები. სხვა გუნდები ამით გვჯობნიან, თორემ უცხოელის ჩამოყვანა პრობლემა არაა. „სპარტაკ-პრიმორიეს" ჩემ გარდა ჰყავს 2 ამერიკელი, ხორვატი და ლიტველი ლეგიონერები. ისინი საკმაოდ კარგი მოთამაშეები არიან და საშუალო რუსი კალათბურთელებიც რომ გვყავდეს, რაღა გვიჭირდა. თუმც ახლაც რეალურია საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა და ჩვენც საამისოდ ვიბრძვით.

**— ვლადივოსტოკელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— 1+1-წლიანი და არა მგონია, მომავალ სეზონში სხვაგან წავიდე. ასეთი კონტრაქტი თავის დასაზღვევად გავაფორმე, მაგრამ უკმაყოფილების საბაბი ჯერ არ გამჩენია და აქ სიამოვნებით დავრჩები.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა 2007–08

## I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 14–15 ნოემბერი

### A ჯგუფი

**ვირტუსი 75:87 პროკომი**
**ვირტუსი:** პოლანდი (22), სპენსერი (22)
**პროკომი:** სლანინა (28), ვან შინგელი (27)

**ცსკა 88:79 ოლიმპიაკოსი**
**ცსკა:** შიშკაუსკასი (24), ლანგდონი (21)
**ოლიმპიაკოსი:** გრირი (27), ჯექსონი (22)

**ტაუ 76:61 სიენა**
**ტაუ:** მაკდონალდი (18), რაკოჩევიჩი (14)
**სიენა:** სატო (14), მაკინტირი (13)

**ჟალგირისი 91:72 ოლიმპია**
**ჟალგირისი:** ბრაუნი (28), სალენგა (17)
**ოლიმპია:** მილიჩი (21), ტეილორი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 4 | 3 | 1 | 53 | 7 |
| ცსკა | 4 | 3 | 1 | 30 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | 34 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 2 | 15 | 6 |
| ჟალგირისი | 4 | 2 | 2 | -2 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 2 | -36 | 6 |
| პროკომი | 4 | 1 | 3 | -33 | 5 |
| ვირტუსი | 4 | 1 | 3 | -61 | 5 |

### B ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი 77:70 არისი**
**რიტასი:** პეტრავიჩიუსი (22), პრაისი (15)
**არისი:** მესი (19), რაიტი (12)

**ციბონა 100:91 არმანი**
**ციბონა:** აიუსო (30), ჰოსკინი (12)
**არმანი:** სისეი (24), გალინარი (20)

**ეფესი 66:63 ლე მანი**
**ეფესი:** ნიკოლასი (21), ერდოგანი (13)
**ლე მანი:** ბოგდანოვიჩი (21), კლემსი (11)

**უნიკახა 93:70 მაკაბი**
**უნიკახა:** კაბეზასი (21), ჰაისლიპი (19)
**მაკაბი:** ფიზერი (15), ბინუმი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტასი | 4 | 4 | 0 | 38 | 8 |
| უნიკახა | 4 | 3 | 1 | 66 | 7 |
| არისი | 4 | 3 | 1 | 4 | 7 |
| ეფესი | 4 | 2 | 2 | -1 | 6 |
| ციბონა | 4 | 2 | 2 | -25 | 6 |
| მაკაბი | 4 | 2 | 2 | -32 | 6 |
| ლე მანი | 4 | 0 | 4 | -15 | 4 |
| არმანი | 4 | 0 | 4 | -35 | 4 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი 76:66 ბარსელონა**
**პანათინაიკოსი:** დიამანტიდისი (15), იასიკევიჩუსი (13)
**ბარსელონა:** კაშუნი (16), მორანდაისი (14)

**როანა 90:97 ფენერბაჰჩე**
**როანა:** სეილერსი (40), მესი (22)
**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (23)

**რეალი 75:64 პარტიზანი**
**რეალი:** ბალოკი (15), მუმბრუ (11)
**პარტიზანი:** პალაციო (24), კეცმანი (14)

**რომა 81:57 ბამბერგი**
**რომა:** უკიჩი (15), სტეფანსონი (14)
**ბამბერგი:** გრინი (16), ოკულაია (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 35 | 8 |
| პანათინაიკოსი | 4 | 4 | 0 | 22 | 8 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 8 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 2 | 2 | 3 | 6 |
| პარტიზანი | 4 | 2 | 2 | -11 | 6 |
| რომა | 4 | 1 | 3 | -4 | 5 |
| როანა | 4 | 1 | 3 | -11 | 5 |
| ბამბერგი | 4 | 0 | 4 | -42 | 4 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონი დალასიდან ლასლასით წავიდა

15 ნოემბერი

**დალასი 105:92 სან ანტონიო**

დალასი: ჰოვარდი (23), ჰარისი (18), ტერი (18), ნოვიცკი (17)

სან ანტონიო: ჯინობილი (25 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), დანკანი (24)

**ფინიქსი 112:102 ჩიკაგო**

ფინიქსი: ბარბოსა (25), ჰილი (24), მერიონი (21 ქულა, 9 მოხსნა), სტუდემაიერი (14 ქულა, 6 დაფარება), ნეში (10 ქულა, 15 პასი, 4 ჩაჭრა)

ჩიკაგო: გორდონი (24), დენგი (23 ქულა, 9 მოხსნა), ნოჩიონი (18), ჰაინრიხი (17)

„დალასსა“ და „სან ანტონიოს“ ბოლო წლებში იმდენი დასამახსოვრებელი მატჩი გამოუვლიათ, ხალხი მათ ოდინდელ უპრინციპულეს მეტოქეებად აღიქვამს, ისევე როგორც ერთმანეთისთვის 60-იან და 80-იან წლებში „ლეიკერსი“ და „ბოსტონი“ იყვნენ. ეს თამაშიც ტეხასური ომის ერთ-ერთი დაპირისპირება იყო და ამთავითვე ვიტყვით, რომ ბრძოლა არ შედგა. „დალასს“ „სან ანტონიოს“ შური და ბოღმა ახრჩობს. ეს უკანასკნელი ბოლო 9 სეზონში 4-ჯერ გახდა ჩემპიონი, „დალასი“ კი — მიუხედავად იმისა, რომ მას არაფრით ჩამოუვარდება და ხშირად აღემატება კიდეც — მხოლოდ ერთხელ გავიდა ფინალში და ისიც წააგო, მართალია, საკუთარ უთავობით, მაგრამ მაინც...

დალასელებს სულაც არ სურთ, რეგალურული ჩემპიონატის იმ სუპერგუნდის სახელი შერჩეთ, რომელიც პლეი ოფის ადრეულ თუ გვიან რაუნდებში ფლავდება, მაგრამ ჯერჯერობით ესაა დალასური რეალობა.

გუშინწინაც დირკ ნოვიცკიმ და მისიანებმა ისეთ დღეში ჩააგდეს ტიმ დანკანის გუნდი, იფიქრებდით, ჩემპიონებს კი არა, რომელიმე უშნოგნეულო გუნდს აბურთავებენო. სანანტონიოელები მეტოქეებთან შედარებით ბებრებად, მოუქნელებად და უმოტივაციოებად ჩანდნენ. ნოვიცკიზე მეტი ზარალი სტუმრებმა მასპინძელთა მსუბუქ ფორვარდ ჯოშ ჰოვარდისგან ნახეს, რომელსაც პირველ ტაიმში ორი აფეთქება ჰქონდა, თითო-თითო პირველ და მეორე მეოთხედებში. განსაკუთრებით პირველი იყო „სან ანტონიოსთვის“ დამთრგუნველი. ჰოვარდის მეთაურობით დალასელებმა რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 17:1 მოიგეს და უკვე პირველ მეოთხედში 33:18 დაწინაურებით გვარიანი უპირატესობა შეიქმნეს. „სან ანტონიო“ მეორეში თითქოს მკლავებდაკაპიწებული გამოვიდა და მანუ ჯინობილის ლიდერობით სხვაობა 8 ქულამდეც შეამცირა, მაგრამ აქ ჰოვარდმა და მისიანებმა მეორე გაქცევა წამოიწყეს და 11:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგ 20 ქულას მიაახლოვეს მეტოქესთან განხეთქილება, რის შემდეგაც შეხვედრამ მარილი დაკარგა.

„საშინელი პირველი მეოთხედი გვქონდა. ცუდია, როცა თამაშს საწყის წუთებშივე აგებ“ — ამბობდა ნამარცხევს სტუმართა გამთამაშებელი ტონი პარკერი. თვითონ პარკერმა ითამაშა საშინლად — 32 წუთში თამაშიდან 11-ჯერ შეუტია მეტოქეს კალათს, 10 ააცილა და მატჩი 7 ქულით ჩაამთავრა.

ხუთშაბათს მხოლოდ ორი თამაში გაიმართა და მეორეში კიდევ ერთმა ბობოლა დასავლელმა, „ფინიქს სანზმა“ ოდინდელი სუპერბობოლა „ჩიკაგო ბულზი“ დასცა. „ფინიქსის“ ლიდერმა სტივ ნეშმა ქულების გროვებას თავი ანება და ჩვეულ საქმეს, პასების გაცემას მიჰყო ხელი, სეზონში უმეტესი პასი ჩამოარიგა და მისიანებმაც დაუზარლად აგროვეს ქულები. 35 წლის ბებერმა და ტრავმებით შეჭირვებულმა გრანტ ჰილმაც კი სეზონში უმეტესი, 24 ქულა გაშანსა. „ფინიქსმაც“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

**კოტე ყორშია**



დირკ ნოვიცკის „დალასმა“ (მარცხნივ) ტიმ დანკანის „სან ანტონიო“ შეარცხვინა



## მასტერსის თასი. შანხაი. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 450 000 $



როჯერ ფედერერი

# მოდი, გუშინდელი დავივიწყოთ დღეს ნადალი — ფედერერია

**წითელი ჯგუფი**

ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — ფერნანდო გონსალესი (7, ჩილე) 6:4 6:3

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ენდი როდიკი (5, აშშ) 6:4 6:2

| | თ | მ | ნ | სტ |
|---|---|---|---|---|
| როჯერ ფედერერი | 3 | 2 | 1 | 5:2 |
| ენდი როდიკი | 3 | 2 | 1 | 4:3 |
| ნიკოლაი დავიდენკო | 3 | 1 | 2 | 3:4 |
| ფერნანდო გონსალესი | 3 | 1 | 2 | 2:5 |

გუშინ წითელ ჯგუფში დიდ ბრძოლებს ელოდნენ, რადგანაც ნახევარფინალის ერთი საგზური გასათამაშებელი იყო. საუკეთესო ოთხეულში ენდი როდიკს ადგილი განაღდებული ჰქონდა, მეორეზე კი პრეტენზიას როჯერ ფედერერი და ფერნანდო გონსალესი აცხადებდნენ. ამ ორიდან შვეიცარიელს უკეთესი შანსები ჰქონდა, თუმც არსებობდა ვარიანტები, რომ ალპელი თამაშგარე დარჩენილიყო.

გონსალესმა ყველაფერი თავისი ხელით გადაყარა წყალში, როცა აქამდე ორმატჩწაგებულ ნიკოლაი დავიდენკოსთან საშინლად იჩოგნავა და მასტერსის თასზე გამოსვლა ძალიან უხიაგად დაასრულა. მოსკოველმა კი ნოვაკ ჯოკოვიჩივით უსახელოდ წასვლა არ ისურვა და ბოლოსკენ კარიც გაიჯახუნა, რაც ყველაზე მეტად ჩოგბურთის ამერიკელ გულშემატკივრებს არ ესიამოვნათ — კარს მოდგარი დევისის თასის ფინალის წინ რუსთა ლიდერი არცთუ ცუდ ფორმაში მყოფი ჩანს.

ჩილელის შანხაიში გამოსვლა კი ძალიან უცნაური გამოდგა. პირველ შეხვედრაში სუპერჩოგბურთი აჩვენა და თავად ფედერერი წააქცია, მაგრამ ამის შემდეგ კორტზე ღირებული არაფერი გაუკეთებია.

მოკლედ, დღის პირველი შეხვედრის შემდეგ როდიკ-ფედერერის მატჩმა ინტრიგა ნაწილობრივ დაკარგა. ნახევარფინალში თამაში ორივეს განაღდებული ჰქონდა, რის გამოც მათ შეხვედრაში მხოლოდ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილების ბედი უნდა გარკვეულიყო. თან ნახევარფინალის მეტოქეების არჩევა შეეძლოთ — გამარჯვებული რაფაელ ნადალს, წაგებული კი დავიდ ფერერს დაეტაკებოდა.

თუმც სრული აბსურდი იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ რომელიმე, ფედერერი თუ [illegible] თავს შეინახავდა. [illegible] ჰქონდა და[illegible] [illegible]რიელს ყველასთვის უნდა დაენახვებინა, რომ გონსალესთან წაფორხილება შემთხვევითობა იყო. როდიკისთვის კი „მხიარულ როჯერთან“ შეხვედრა, არ შეიძლება უმნიშვნელო იყოს. ეს მისთვის პრინციპის, თავმოყვარეობის საკითხია. სხვა თუ არაფერი, როგორი შესაგუებელია პირად შეხვედრებში 14-1-ს აგებდე, თუნდაც უკანასკნელი დეკადის საუკეთესო მეჩოგნესთან. მით უმეტეს, სრულიად აუტანელი უნდა იყოს ეს როდიკისნაირი ამბიციური პიროვნებისთვის, რომელიც ალპელი რომ არა, შეიძლება, თავად ქცეულიყო 2000-იანების „ფედერერად“. ამ ორ მეჩოგნეს შორის პირადული დაპირისპირება ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ კორტზე ისინი მტრები არიან...

ამიტომ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ როდიკიცა და ფედერერიც ბოლომდე იომებდნენ. ჰოდა, ამ ვითარებაში შოკად იქცა ის ბლიცკრიგი, რაც შვეიცარიელმა ამერიკელს მოუწყო — „მხიარულმა როჯერმა“ თავის სტილში, ლაზათიანად და ძალიან ლამაზად ითამაშა, ენდიბოი საათზე ნაკლებში მიჩოგნა და კიდევ ერთხელ შეარცხვინა სახალხოდ. გუშინ შანხაის კორტზე მომხდარს გასილაქება ერქვა და ამას თავად როდიკიც კარგად ხვდებოდა. აკი სიბრაზისგან ორი ჩოგანიც დაამტვრია და მსაჯი იძულებული გახადა, გაეფრთხილებინა.

ნამატჩევს როდიკი იმაზე წუწუნებდა, ფედერერს მაინდამაინც ჩემთან რატომ გამოსდის ასე თამაშიო:

„რაღა ჩემთან თამაშობს ასე უშეცდომოდ. არადა, წლეულს რამდენიმე ისეთი შეხვედრა წააგო, რომ ყველა გაკვირვებული დატოვა თავისი სუსტი თამაშით. მაგრამ ჩემთან ყოველთვის იდეალურია — აგერ, უკვე მერამდენედ, კორტზე სუპერმოტივირებული გავდივარ, მაგრამ ის მაინც მჯობნის. თან ყველაფერი გამოსდის, რაც სურს. უკვე ყელშიც ამომივიდა. დღესაც პირველ მოწოდებაზე 84 პროცენტი ჰქონდა. ნეტავ, აქამდე მის კარიერაში ერთხელ მაინც თუ ყოფილა ასეთი რამ?“

ფედერერი მხოლოდ იღიმებოდა და იმას ამბობდა, ბედნიერი ვარ, ნადალთან დატაკება რომ მომიწიაო. ეს ღიმილი კი ესპანელს კარგს ნამდვილად არაფერს ჰპირდება.

**კახა ლომჯაშვილი**

# ტატიშვილი ჰარქლროუდზე გაჩერდა

**ეშლი ჰარქლროუდი** ამ სამი-ოთხი წლის წინ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ამ ამერიკელმა მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. თუმცა, პერიოდულად ჰარკლროუდი გარკვეულ წარმატებებს აღწევს ხოლმე და წლეულს იანვარში WTA-ს რეიტინგის 39-ე საფეხურზეც აღზევდა. მერე ეშლის ისევ დაღმასვლა დაეწყო და ამ წუთისთვის ის კლასიფიკაციაში 76-ეა.

ეს შესავალი კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ კალიფორნიის შტატის ქალაქ ლა ქუინტას მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში ამ ჰარკლროუდმა 6:1 6:1 გადაუარა ჩვენს ანა ტატიშვილს და ქართველი შეჯიბრს ჩამოაშორა.

სამაგიეროდ, კვლავაც წარმატებით თამაშობს და კვალიფიკაციიდან წამოსული, უკვე მეოთხედფინალშია სოფო ქვაცაბაია, რომელმაც ესპანური მალიორკას თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში მე-2 ნომრად განთესილ 21 წლის ესპანელ ევა ფერნანდეს-ბრუგუესს, ვისაც რეიტინგის 439-ე პოზიცია უჭირავს, 6:2 6:4 სძლია. მეოთხედფინალში სოფო ასევე კვალიფიკაციიდან წამოსულ რუს მარინა მელნიკოვას ხვდება. ამ 18 წლისა და კლასიფიკაციაში 787-ე ადგილზე მყოფმა ჩოგბურთელმა ძირითად ბადეში ჯერ თავის თანამემამულეს, მე-5 ნომრად განთესილ ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას მოუგო 6:3 6:4, შემდეგ კი ესპანელი სანდრა სოლერსოლა სამ სეტში — 6:3 4:6 6:3 დაჯაბნა.

თუ მელნიკოვასაც მოუგებს, მაშინ ნახევარფინალში ქვაცაბაია მესამე ნომრად განთესილ თურქ კაგლა ბიუკაკჩაისა და პოლონელ სილვია ზაგორსკას შორის საუკეთესოს დაუპირისპირდება.



# კიმის ტიტული გრადუსში ჩაჯდა

**როგორც** იქნა, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სააპელაციო სასამართლომ ლონდონში ორდღიან სხდომაზე ბრაზილიის საპირველფორმულო გრან პრისთან დაკავშირებული „მაკლარენ-მერსედესის" პროტესტის განხილვის შემდეგ ვერდიქტი გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, სან პაულუში რბოლის შემდეგ შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ „BMW-ზაუბერისა" და „უილიამსის" მანქანებში საწვავის ტემპერატურა დასაშვებზე დაბალი იყო, რაც ტექრეგლამენტის უხეში დარღვევაა: „ბოლიდში ჩასასხმელი საწვავის ტემპერატურა ჰაერის ტემპერატურასთან შედარებით ათ გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს".

ხსენებული ორი საჯინიბოს მანქანებში საწვავი ათგრადუსიან ნორმაზე სამი-ოთხი გრადუსით უფრო ცივი აღმოჩნდა. ეს კი, სპეციალისტთა აზრით, სათანადო მანიპულაციების შედეგად ძრავის სიმძლავრის 5-10 ცხენის ძალით მომატების საშუალებას იძლევა, თანაც ბენზინი ავზში ოდნავ უფრო სწრაფად იხმება. მაგრამ სტიუარდებმა ყურად იღეს გუნდების წარმომადგენელთა ახსნა-განმარტება, ეს ტემპერატურის ორი წყაროთი გაზომვისას ცდომილების ბრალიაო და არავინ დაუსჯიათ.

არადა, დამნაშავეთა — მეოთხე-მეექვსე ადგილებზე გასულ ნიკო როსბერგის („უილიამსი"), რობერტ კუბიცასა და ნიკ ჰაიდფელდის (ორივე „BMW-ზაუბერი") დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მათ ბრაზილიური შედეგები გაუუქმდებოდათ, მეშვიდე ადგილზე გასული „მაკელი" ლუის ჰემილტონი კი სამი პოზიციით მაღლა აიწევდა, გენერალურ კლასიფიკაციაში „ფერარელ" კიმი რაიკონენზე წინ აღმოჩნდებოდა და მსოფლიოს ჩემპიონობასაც მოიპოვებდა.

სწორედ ეს გახდა „მაკლარენის" პროტესტის მიზეზი და ამიტომაც საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოს განაჩენამდე ფორმულა I-ის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები პირობითად ითვლებოდა.

ოთხმა „ნეიტრალურმა" მოსამართლემ ბერძენმა ვასილი კოუსისმა, ამერიკელმა ჯონ კასიდიმ, პორტუგალიელმა ხოსე მაჩედო ე კუნიამ და ჩეხმა იან სტოვიჩეკმა ორივე მხარის არგუმენტები მოისმინეს და ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღეს.

**გია ახალაძე**

**დღეიდან: მიეცით ხმა ზაზა ფაჩულიას ოლ სტარის მატჩში სამონაწილეოდ WWW.NBA.COM-ზე**

## ფორმულა 1-ის ყველა ჩემპიონი

| | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა | გუნდი | მოგება | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1950 | ჯუზეპე ფარინა | 44 | იტალია | ალფა რომეო | 3 | 30 |
| 1951 | ხუან მანუელ ფანხიო | 40 | არგენტინა | ალფა რომეო | 3 | 31 |
| 1952 | ალბერტო ასკარი | 34 | იტალია | ფერარი | 6 | 36 |
| 1953 | ალბერტო ასკარი | 35 | იტალია | ფერარი | 5 | 34,5 |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | 43 | არგენტინა | მაზერატი, მერსედესი | 6 | 42 |
| 1955 | ხუან მანუელ ფანხიო | 44 | არგენტინა | მერსედესი | 4 | 40 |
| 1956 | ხუან მანუელ ფანხიო | 45 | არგენტინა | ლანჩა-ფერარი | 3 | 30 |
| 1957 | ხუან მანუელ ფანხიო | 46 | არგენტინა | მაზერატი | 4 | 40 |
| 1958 | მაიკ ჰოტორნი | 29 | დიდი ბრიტანეთი | ფერარი | 1 | 42 |
| 1959 | ჯეკ ბრებემი | 33 | ავსტრალია | კუპერი | 2 | 31 |
| 1960 | ჯეკ ბრებემი | 34 | ავსტრალია | კუპერი | 5 | 43 |
| 1961 | ფილ ჰილი | 34 | აშშ | ფერარი | 2 | 34 |
| 1962 | გრემ ჰილი | 33 | დიდი ბრიტანეთი | BRM | 4 | 42 |
| 1963 | ჯიმ კლარკი | 27 | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი | 7 | 54 |
| 1964 | ჯონ სარტისი | 30 | დიდი ბრიტანეთი | ფერარი | 2 | 40 |
| 1965 | ჯიმ კლარკი | 29 | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი | 6 | 54 |
| 1966 | ჯეკ ბრებემი | 40 | ავსტრალია | ბრებემი | 4 | 42 |
| 1967 | დენი ჰალმი | 31 | ახალი ზელანდია | ბრებემი | 2 | 51 |
| 1968 | გრემ ჰილი | 39 | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი | 3 | 48 |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | 30 | დიდი ბრიტანეთი | მატრა | 6 | 63 |
| 1970 | იოხენ რინდტი | 28 | ავსტრია | ლოტუსი | 5 | 45 |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | 32 | დიდი ბრიტანეთი | ტირელი | 6 | 62 |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | 25 | ბრაზილია | ლოტუსი | 5 | 61 |
| 1973 | ჯეკი სტიუარტი | 34 | დიდი ბრიტანეთი | ტირელი | 5 | 71 |
| 1974 | ემერსონ ფიტიპალდი | 27 | ბრაზილია | მაკლარენი | 3 | 55 |
| 1975 | ნიკი ლაუდა | 26 | ავსტრია | ფერარი | 5 | 64,5 |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | 29 | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი | 6 | 69 |
| 1977 | ნიკი ლაუდა | 28 | ავსტრია | ფერარი | 3 | 72 |
| 1978 | მარიო ანდრეტი | 38 | აშშ | ლოტუსი | 6 | 64 |
| 1979 | ჯოდი შექტერი | 29 | სამხრეთ აფრიკა | ფერარი | 3 | 51 |
| 1980 | ალან ჯოუნსი | 34 | ავსტრალია | უილიამსი | 5 | 67 |
| 1981 | ნელსონ პიკე | 29 | ბრაზილია | ბრებემი | 3 | 50 |
| 1982 | კეკე როსბერგი | 34 | ფინეთი | უილიამსი | 1 | 44 |
| 1983 | ნელსონ პიკე | 31 | ბრაზილია | ბრებემი | 3 | 59 |
| 1984 | ნიკი ლაუდა | 35 | ავსტრია | მაკლარენი | 5 | 72 |
| 1985 | ალენ პროსტი | 30 | საფრანგეთი | მაკლარენი | 5 | 73 |
| 1986 | ალენ პროსტი | 31 | საფრანგეთი | მაკლარენი | 4 | 72 |
| 1987 | ნელსონ პიკე | 35 | ბრაზილია | უილიამსი | 3 | 73 |
| 1988 | აირტონ სენა | 28 | ბრაზილია | მაკლარენი | 8 | 90 |
| 1989 | ალენ პროსტი | 34 | საფრანგეთი | მაკლარენი | 4 | 76 |
| 1990 | აირტონ სენა | 30 | ბრაზილია | მაკლარენი | 6 | 78 |
| 1991 | აირტონ სენა | 31 | ბრაზილია | მაკლარენი | 7 | 96 |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | 39 | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 9 | 108 |
| 1993 | ალენ პროსტი | 38 | საფრანგეთი | უილიამსი | 7 | 99 |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | 25 | გერმანია | ბენეტონი | 8 | 92 |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | 26 | გერმანია | ბენეტონი | 9 | 102 |
| 1996 | დეიმონ ჰილი | 36 | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 8 | 97 |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | 26 | კანადა | უილიამსი | 7 | 81 |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | 30 | ფინეთი | მაკლარენი | 8 | 100 |
| 1999 | მიკა ჰაკინენი | 31 | ფინეთი | მაკლარენი | 5 | 76 |
| 2000 | მიხაელ შუმახერი | 31 | გერმანია | ფერარი | 9 | 108 |
| 2001 | მიხაელ შუმახერი | 32 | გერმანია | ფერარი | 9 | 123 |
| 2002 | მიხაელ შუმახერი | 33 | გერმანია | ფერარი | 11 | 144 |
| 2003 | მიხაელ შუმახერი | 34 | გერმანია | ფერარი | 6 | 93 |
| 2004 | მიხაელ შუმახერი | 35 | გერმანია | ფერარი | 13 | 148 |
| 2005 | ფერნანდო ალონსო | 24 | ესპანეთი | რენო | 7 | 133 |
| 2006 | ფერნანდო ალონსო | 25 | ესპანეთი | რენო | 7 | 134 |
| 2007 | კიმი რაიკონენი | 28 | ფინეთი | ფერარი | 6 | 110 |



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

15 ნოემბერი

**ბოსტონი 5:2 ტორონტო**

*2:1 1:1 2:0*

1:0 სავარი (1), 1:1 ველვუდი (12), 2:1 შტურმი (12), 3:1 მეტროპოლიტი (31), 3:2 პონიკაროვსკი (32), 4:2 შეფერი (43), 5:2 შეფერი (46)

**ფილადელფია 3:4 რეინჯერსი**

*1:1 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 დაუდი (4), 1:1 ტიუტინი (15), 1:2 შენაჰენი (22), 2:2 ბრიარი (36), 2:3 პრუხა (46), 3:3 ტოლპეკო (51)

**ოტავა 3:2 ბუფალო**

*2:1 1:0 0:1*

1:0 ალფრედსონი (7), 1:1 ხეხტი (8), 2:1 ალფრედსონი (19), 3:1 დონოვანი (37), 3:2 როი (52)

**პიტსბურგი 3:2 აილენდერსი**

*1:1 2:1 0:0*

0:1 კომრი (15), 1:1 გონჩარი (19), 2:1 სიკორა (21), 2:2 ვასიჩეკი (29), 3:2 ლარაკი (37)

**ფლორიდა 2:1 ვაშინგტონი**

*1:0 1:1 0:0*

1:0 ზედნიკი (8), 2:0 კრეპსი (25), 2:1 ოვეჩკინი (27)

**ნეშვილი 5:4 ჩიკაგო**

*1:0 0:3 3:1 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 არნოტი (11), 1:1 ტეივსი (26), 1:2 ვიშნევსკი (33), 1:3 შარპი (35), 2:3 რადულოვი (45), 3:3 ფიდლერი (51), 4:3 ბონკი (57), 4:4 უილიამსი (60), 5:4 ერატი (61)

**ედმონტონი 2:4 მინესოტა**

*0:1 2:2 0:1*

0:1 სკოულა (5), 1:1 სტოლი (26), 2:1 სტოლი (32), 2:2 გაბორიკი (33), 2:3 ფოსტერი (40), 2:4 პერიში (41)

**ფინიქსი 0:6 სან ხოსე**

*0:2 0:1 0:3*

0:1 რენიკი (5), 0:2 რისმილერი (12), 0:3 პაველსკი (29), 0:4 პაველსკი (43), 0:5 სეტოლუჩი (44), 0:6 ბერნიე (54)

**ლოს ანჯელესი 3:6 ანაჰაიმი**

*1:0 1:2 1:4*

1:0 კოპიტარი (14), 1:1 პერი (21), 2:1 ბრაუნი (33), 2:2 პერი (37), 2:3 გეცლაფი (43), 2:4 მეი (49), 2:5 პოლსონი (51), 3:5 ოსალივანი (57), 3:6 ნიდერმაიერი (60)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ანასარიძე, ნინო ხილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge